შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამა

დაღმავალი ჰეგემონის საგარეო პოლიტიკის სტრატეგიები: ბალანსი დანახარჯებსა და ჩართულობას შორის

ბაია ივანეიშვილი
პოლიტიკურ მეცნიერებებში სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი

თბილისი, 2018

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

ნიკა ჩიტაძე

(სახელი, გვარი)

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი, დოქტორი

(აკადემიური წოდება)

(ხელმძღვანელის ხელმოწერა)

ექსპერტები (სახელი, გვარი & აკადემიური წოდება):

1. სანდრა ჯ. ჯონსონი, პროფესორი
2. შალვა ძებისაშვილი, ასოცირებული პროფესორი, დოქტორი
3. ნინო კერესელიძე, ასოცირებული პროფესორი, დოქტორი

ოპონენტები (ექსპერტები (სახელი, გვარი & აკადემიური წოდება):

1. ბაკურ კვაშილავა, პროფესორი
2. ზაზა ცოტნიაშვილი, პროფესორი

შესავალი

დისერტაცია იკვლევს დაღმავალი ჰეგემონის ოპტიმალური საგარეო პოლიტიკის სტრატეგიის ბუნებას და შეიმუშავებს მისი განხორციელების მექანიზმებს. დისერტაციის აღნიშნული მიზანი ხორციელდება ანალიტიკური ჩარჩოს შექმნის საშუალებით, დაღმავალი ჰეგემონის საგარეო პოლიტიკური სტრატეგიების კლასიფიკაციისა და ანალიზისათვის. დაღმავალი ჰეგემონის ბუნების გამოვლენის შემდგომ, დისერტაცია შეიმუშავებს მისი განხორციელების მექანიზმებს. როგორც ანალიტიკური ჩარჩოს, ასევე ოპტიმალური სტრატეგიის მექანიზმების შემუშავება ხორციელდება თეორიული მსჯელობის შედეგად, რომელიც საერთაშორისო ურთიერთობების (სუ) თეორიის კარგად დამკვიდრებულ, ემპირიულად დადასტურებულ არგუმენტებს ეფუძნება და დამატებით გამყარებულია შემთხვევის ანალიზით, რომელიც ბარაკ ობამას ადმინისტრაციის საგარეო პოლიტიკურ სტრატეგიას შეისწავლის. თეორიის შემუშავების (theory building) პროცესის შედეგად, დისერტაციაში ვითარდება მისი მთავარი არგუმენტი: დაღმავალი ჰეგემონის ოპტიმალური სტრატეგია შესაძლებლობას აძლევს უკანასკნელს შეამციროს საგარეო პოლიტიკური დანახარჯები, რომლებიც მისი ძალისმიერი რესურსების გამოფიტვას ახდენენ, და ამავდროულად, შეინარჩუნოს ჩართულობა საერთაშორისო ურთიერთობებში, რომელიც გამოხატავს მის გავლენას საერთაშორისო ურთიერთობებზე. დანახარჯების შემცირებისა და ჩართულობის შენარჩუნების თანადროული უზრუნველყოფა დაღმავალი ჰეგემონის საგარეო პოლიტიკური სტრატეგიის წარმატების გასაღებია, რადგან ძალისმიერი რესურსების გამოფიტვის თავიდან აცილება აუცილებელია დაღმასვლის შეფერხებისათვის. ამავდროულად, საერთაშორისო გავლენა უმნიშვნელოვანესია ჰეგემონის ეროვნული ინტერესების უზრუნველყოფისთვის და შესაძლებლობას აძლევს უკანასკნელს განახორციელოს ლიდერობა საერთაშორისო ურთიერთობებში. შედეგად, დიერტაციაში მიჩნეულია, რომ დაღმავალი ჰეგემონის ოპტიმალური საგარეო პოლიტიკური სტრატეგია გულისხმობს დაბალი დანახარჯებისა და მაღალი ჩართულობის ბალანსს.

პრობლემის ანალიზი

საერთაშორისო ურთიერთობების ლიტერატრატურაში ფართოდ არის შესწავლილი ჰეგემონური სისტემა, ისევე როგორც ჰეგემონის დაღმასვლა. მიუხედავად ამისა, დაღმავალი ჰეგემონის საგარეო პოლიტიკური სტრატეგიების განხილვისას ლიტერატურაში შეინიშნება ნაკლოვანებები შემდეგი თვალსაზრისით:

(1) **განზოგადებული თეორიული მსჯელობა** - სუ ლიტერატურაში განხილულ სტრატეგიებში არასაკმარისად არის წარმოდგენილი განზოგადებული თეორიული მსჯელობა და არგუმენტაცია, რის გამოც ისინი, უმეტესწილად, წარმოადგენენ პრაქტიკული სახის რეკომენდაციებს მოქმედი ჰეგემონისათვის, ამერიკის შეერთებული შტატებისთვის (აშშ). თუმცა აღნიშნული რეკომენდაციები ეფუძნება სუ თეორიაში წარმოდგენილ არგუმენტებს, თავად არსებული სტრატეგიების ფარგლებში მათი თეორიული საფუძვლების სიღრმისეული განხილვა არ ხორციელდება. განზოგადებული თეორიული მსჯელობის ნაკლებობა არსებულ სტრატეგიებს სიტუაციურს ხდის და ისინი მხოლოდ მათი შემუშავების პერიოდისათვის არსებული სუ მოცემულობის პირობებშია რელევანტური. რადგან მოქმედი ჰეგემონისთვის შემუშავებული არსებული საგარეო პოლიტიკის სტრატეგიები არ მოიცავენ ფაქტორების განვრცობილ ანალიზს სუ თეორიის ჭრილში, რომლებმაც განაპირობეს მათში მოცემული პრაქტიკული რეკომენდაციების ფორმირება, ნათელი არ არის, თუ როგორ იმოქმედებდა სტატუს კვოს ცვლილება შესაბამისი სტრატეგიების რელევანტურობაზე. კერძოდ, გაურკვეველია, თუ რა ფაქტორების შენარჩუნებისას ინარჩუნებენ აღნიშნული სტრატეგიები რელევანტურობას, ხოლო რა ფაქტორების ცვლილებისას დგება ადაპტირების საჭიროება მათი რელევანტურობის ხელახლა უზრუნველსაყოფად. თეორიული მსჯელობის ნაკლებობის შედეგად, ასევე არ არის ნათელი, თუ რა სიტუაციებში არის შესაძლებელი არსებული სტრატეგიების განზოგადება და იმის დადგენა, თუ რა გარემოებებში ქმნიან ისინი თეორიული დისკურსის შესაძლებლობას დაღმავალი ჰეგემონის საგარეო პოლიტიკურ სტრატეგიებთან დაკავშირებით;

(2) ჰეგემონის კონცეპტუალიზაცია - დაღმასვლის წინააღმდეგ მიმართული სტრატეგიები ხარჯების შემცირებაზე და ძალისმიერი რესურსების დაზოგვაზეა ორიენტირებული და ეფუძნება დაღმასვლის თეორიულ კონცეპტუალიზაციას. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენილია არგუმენტებიც, თუ რატომ არის ოპტიმალური ამა თუ იმ მოცულობით ხარჯების შემცირება ჰეგემონისთვის, კერძოდ აშშ-სთვის, არსებული სტრატეგიები არ მოიცავენ ჰეგემონის თეორიულ კონცეპტუალიზაციას. გარემოება, რომ დაღმავალი ჰეგემონისთვის შემუშავებული სტრატეგიები ეფუძნება დაღმასვლის და არა ჰეგემონის თეორიულ კონცეპტუალიზაციას პრობლემატურია - დაღმავალი ჰეგემონის სტრატეგია მიმართული უნდა იყოს დაღმასვლის შემაფერხებელი ფაქტორების წინააღმდეგ იმგვარად, რომ არ დაზიანდეს ჰეგემონის ატრიბუტები და მისი მხრიდან გავლენის განხორციელების შესაძლებლობები, რომლებიც ჰეგემონის კონცეპტუალიზაციის შედეგად ვლინდება;

(3) სისტემური შედეგების (systemic consequences) მხედველობაში მიღება - არსებული სტრატეგიების განხილვისას არ არის გათვალისწინებული თუ რა ტიპის სისტემის წარმოქმნაა მოსალოდნელი ჰეგემონური სისტემის დაღმასვლის შემდგომ ძალთა განაწილების თვალსაზრისით. შედეგად, არსებული სტრატეგიები არ ითვალისწინებენ სისტემის სპეციფიური ტიპისთვის დამახასიათებელი ანარქიით განპირობებული შედეგების გავლენას სახელმწიფოთა მოსალოდნელ ქცევაზე, პოსტ-ჰეგემონური სისტემის დინამიკაზე და შედეგად, დაღმავალი ჰეგემონის სტრატეგიაზე. სისტემური შედეგების მხედველობაში არ მიღების გამო, არსებული სტრატეგიები არ არის დიფერენცირებული სისტემაში ძალთა განაწილების შესაძლო ვარიანტების თვალსაზრისით, რომელშიც დაღმასვლა ხორციელდება. შედეგად, დაღმასვლის ისტორიული შემთხვევების განხილვა განზოგადებული თეორიული მსჯელობისას ჰეგემონური დაღმასვლის შესახებ ხდება იმის გათვალისწინების გარეშე, რომ პროცესი მიმდინარეობდა განსხვავებული სისტემური შედეგების პირობებში. სისტემური შედეგების მხედველობაში მიღება შესაძლებლობას წარმოშობს ჰეგემონური დაღმასვლის პროცესისა და შესაძლო სტრატეგიების ანალიზისას მოხდეს მათი გავლენის

გათვალისწინება სახელმწიფოთა ქცევის განმსაზღვრელ ფაქტორებზე საერთაშორისო ურთიერთობებში. აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინება სტრატეგიის სიზუსტისთვის არის აუცილებელი;

(4) **დაღმასვლის მენეჯმენტი** - არსებული სტრატეგიების ნაკლოვანებას წარმოადგენს ასევე დაღმასვლის მენეჯმენტის განხილვის ნაკლებობა. რადგან სტრატეგიები მორგებულია აშშ-ზე, რომლის დაღმასვლის პროცესიც მნიშვნელოვანწილად საწყის ეტაპზეა, სტრატეგიები დაღმასვლის რევერსიის მიზნით იქმნება და არ ავითარებენ გრძელვადიანი პეროდისთვის მორგებულ მსჯელობას, თუ როგორ უნდა ხორციელდებოდეს სტრატეგია მას შემდეგ და იმ შემთხვევაში, თუ შედარებითი ძლიერების კლება გრძელდება, დაღმასვლის რევერსია აღარ არის შესაძლებელი და საჭირო ხდება სტრატეგიის მიმართვა მისი შეფერხებისა და მენეჯმენტისთვის.

დისერტაციის მიზანი

დისერტაციის მიზანს წარმოადგენს დაღმავალი ჰეგემონის ოპტიმალური თეორიული საგარეო პოლიტიკური სტრატეგიის შექმნა, რომელიც მიმართული იქნება ზემოთ ჩამოთვლილი ნაკლოვანებების შევსებისკენ: (1) დაეფუძნება განზოგადებულ, თეორიულ მსჯელობას, რომელიც წარმოადგენს შემუშავებული სტრატეგიის განმსაზღვრელი ფაქტორების სიღრმისეულ ანალიზს სუ თეორიის არგუმენტებზე დაყრდნობით; (2) დაღმასვლის თეორიულ კონცეპტუალიზაციასთან ერთად, მოახდენს ჰეგემონის თეორიულ კონცეპტუალიზაციასაც. ამგვარად, სტრატეგიის იმპლემენტაციის მექანიზმების შემუშავებისას გათვალისწინებული იქნება მათი შედეგები ჰეგემონის სტატუსის განმსაზღვრელ ატრიბუტებზე; (3) გაითვალისწინებს სისტემური შედეგების სპეციფიკას; (4) განიხილავს სტრატეგიას არა მხოლოდ დაღმასვლის საწყისი ეტაპისთვის. შექმნილი სტრატეგია მიმართული იქნება დაღმასვლის შეფერხებისკენ, და არა რევერსიისკენ, იქიდან გამომდინარე, რომ განსახილველი სისტემური შედეგების სპეციფიკის გათვალისწინებით, დისერტაციის ფარგლებში მიჩნეულია, რომ დაღმასვლის რევერსია არ არის შესაძლებელი.

ამისათვის, დისერტაცია მიზნად ისახავს განავითაროს ანალიტიკური ჩარჩო, რომელიც შესაძლებელს გახდის განხორციელდეს დაღმავალი ჰეგემონის საგარეო პოლიტიკური სტრატეგიების კლასიფიკაცია და შეფასება, და შედეგად, გამოვლინდეს ოპტიმალური სტრატეგია დაღმავალი ჰეგემონისათვის. ოპტიმალური სტრატეგიის განსაზღვრის შემდგომ, დისეტაციის მიზანია მისი განხორციელების მექანიზმების შემუშავება.

აღნიშნული მიზნების განხორციელების შემდგომ, დისერტაციის კიდევ ერთ ამოცანას წარმოადგენს მოქმედი ჰეგემონის, აშშ-ს საგარეო პოლიტიკური სტრატეგიის შესწავლა ბარაკ ობამას ადმინისტრაციის პირობებში, და მისი ანალოგიურობის გამოვლენა დისერტაციაში შექმნილ დაღმავალი ჰეგემონის ოპტიმალურ თეორიულ სტრატეგიასთან. ამ ამოცანის მიზანია თეორიული სტრატეგიის ვალიდურობის დადასტურება და მასში აღწერილი განხორციელების მექანიზმების პრაქტიკულ რეალიზაციაზე დაკვირვება.

საკითხის აქტუალურობა

დისერტაციის კვლევის ფოკუსი, დაღმავალი ჰეგემონის საგარეო პოლიტიკის სტრატეგია და მისი განხორციელების მექანიზმები დღესდღეობით განსაკუთრებით აქტუალურია და უკანასკნელი ათწლეულის სუ ლიტერატურაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ამას განაპირობებს ჰეგემონური დაღმასვლის ნიშნები, კერძოდ მოქმედი ჰეგემონის, აშშ-ს შედარებითი ძლიერების კლების დაწყება და ახალი ძალაუფლების ცენტრების აღმასვლა. სუ ლიტერატურაში მზარდი ინტერესი ეთმობა ისეთ საკითხებს, როგორიცაა ჰეგემონური სისტემის სიცოცლისუნარიანობა და დაღმასვლის განმაპირობებელი ფაქტორები; დაღმავალი ჰეგემონის სტრატეგიები და მათი განხორციელების მექანიზმები; პროცესები, რომლებსაც ადგილი აქვთ ძალთა განაწილების ცვლილებისას საერთაშორისო სისტემაში; საერთაშორისო ურთიერთოებების დინამიკა პოსტ-ჰეგემონურ სისტემაში. ამ თვალსაზრისით, დისერტაცია განსაკუთრებით აქტუალურია, რადგან ის ავითარებს ორიგინალურ ანალიტიკურ ჩარჩოს დაღმავალი ჰეგემონის საგარეო პოლიტიკური სტრატეგიების კლასიფიკაციისა და შეფასებისათვის რის შედეგადაც ხდება ოპტიმალური სტრატეგიის გამოვლენა და მისი განხორციელების მექანიზმების განსაზღვრა.

საკვლევი კითხვა

დისერტაციის მთავარი საკვლევი კითხვა შემდეგია: როგორია დაღმავალი ჰეგემონის ოპტიმალური საგარეო პოლიტიკური სტრატეგიის ბუნება და მისი განხორციელების მექანიზმები?

მთავარ კითხვაზე პასუხის ძიებისას საჭიროა შემდგომ ქვე-კითხვებზე პასუხის გაცემა:

(1) რას წარმოადგენს ჰეგემონის არსი/რაობა - რა არის ჰეგემონის ატრიბუტები?

(2) რა ტიპის ლიდერობის (ძალისმიერი თუ კონსენსუალური) განხორციელება შეუძლია ჰეგემონს საერთაშორისო ურთერთბებზე; რა განაპირობებს ჰეგემონის გავლენას საერთაშორისო ურთიერთობებზე; რა საშუალებებით ახორციელებს ჰეგემონი გავლენას საერთაშორისო ურთიერთბებზე და საკუთარი ეროვნული ინტერესების უზრუნველყოფას?

(3) რას წარმოადგენს დაღმასვლა, რა ფაქტორები განაპირობებენ მას და რა საშუალებებით შეიძლება დაღმასვლის შეფერხება?

(4) რის საფუძველზე შეიძლება დაღმავალი ჰეგემონის საგარეო პოლიტიკური სტრატეგიების შეფასება - როგორია დაღმავალი ჰეგემონის საგარეო პოლიტიკური სტრატეგიების შეფასების კრიტერიუმები?

(5) როგორია ოპტიმალური საგარეო პოლიტიკური სტრატეგიის განხორციელების მექანიზმები?

მოცემული ჩამონათვალიდან, დისერტაციის მეორე თავი პასუხობს პირველ ოთხ კითხვას, ხოლო მეასმე თავი, დარჩენილ ერთს (დისერტაციის პირველი თავი ლიტერატურის მიმოხილვაა). შედეგად, მესამე თავის ბოლოს, დისერტაციაში ხდება მის მთავარ კითხვაზე პასუხის გაცემაც. რაც შეეხება დისერტაციის მეოთხე თავს, ის წარმოადგენს შემთხვევის ანალიზს (case study), რომლის ფარგლებშიც, ობამას ადმინისტრაციის საგარეო პოლიტიკური სტრატეგიის აღწერის შედეგად ხდება მისი შესაბამისობის გამოვლენა დისერტაციაში შექმნილ თეორიულ სტრატეგიასთან უკანასკნელის ვალიდურობისა და პრაქტიკული განხორციელების შესაძლებელობების

ილუსტრირების მიზნით. ამგვარად, დისერტაციის უკანასკნელი თავის მიზანი ობამას ადმინისტრაციის სტრატეგიის შესაბამისობის გამოვლენაა მულტილატერალიზმის თეორიულ სტრატეგიასთან, რომელიც წარმოდგენილ საკვლევ კითხვებზე პასუხების პოვნის შედეგად იქმნება.

ჰიპოთეზა

დისერტაცია წარმოადგენს ხარისხობრივ კვლევას, რომელიც ინდუქციური ლოგიკის საფუძველზე ახორციელებს თეორიის შექმნასა და ჰიპოთეზის გენერირებას. თეორიის განვითარების (theory building) პროცესის შედეგად, დისერტაციაში ვითარდება მისი მთავარი არგუმენტი: *დაღმავალი ჰეგემონის ოპტიმალური სტრატეგია შესაძლებლობას აძლევს უკანასკნელს შეამციროს საგარეო პოლიტიკური დანახარჯები, რომლებიც მისი ძალისმიერი რესურსების გამოფიტვას ახდენენ, და ამავდროულად, შეინარჩუნოს ჩართულობა საერთაშორისო ურთიერთობებში, რომელიც გამოხატავს მის გავლენას საერთაშორისო ურთიერთობებზე. დანახარჯების შემცირებისა და ჩართულობის შენარჩუნების თანადროული უზრუნველყოფა დაღმავალი ჰეგემონის საგარეო პოლიტიკური სტრატეგიის წარმატების გასაღებია, რადგან ძალისმიერი რესურსების გამოფიტვის თავიდან აცილება აუცილებელია დაღმასვლის შეფერხებისათვის. ამავდროულად, საერთაშორისო გავლენა უმნიშვნელოვანესია ჰეგემონის ეროვნული ინტერესების უზრუნველყოფისთვის და შესაძლებლობას აძლევს უკანასკნელს განახორციელოს ლიდერობა საერთაშორისო ურთიერთობებში.* შედეგად, დიერტაციაში მიჩნეულია, რომ დაღმავალი ჰეგემონის ოპტიმალური საგარეო პოლიტიკური სტრატეგია გულისხმობს დაბალი დანახარჯებისა და მაღალი ჩართულობის ბალანსს.

სიახლე

დისერტაციის სიახლეა: (1) ანალიტიკური ჩარჩოს შექმნა, რომელიც ახდენს დაღმავალი ჰეგემონის საგარეო პოლიტიკური სტრატეგიების კლასიფიკაციასა და შეფასებას და ოპტიმალური სტრატეგიის გამოვლენას; (2) ოპტიმალური სტრატეგიის განხორციელების მექანიზმების შემუშავება.

ანალიტიკური ჩარჩოს შექმნა - ანალიტიკური ჩარჩო დაღმავალი ჰეგემონის საგარეო პოლიტიკური სტრატეგიების კლასიფიკაციისა და შეფასებისათვის შექმნილია ორ ცვლადზე, დანახარჯებსა და ჩართულობაზე (costs and involvement) დაფუძნებით (იხ. გამოსახულება 1-1). დანახარჯები წარმოადგენს ჰეგემონის დაღმასვლის განმაპირობებელი ფაქტორების ემპირიულ გამოხატულებას. ორგანზომილებიან ღერძზე განთავსების შემთხვევაში, ის აჩვენებს რამდენად დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული დაღმავალი ჰეგემონის სტრატეგია მისი ძალისმიერი რესურსების კლების თვალსაზრისით. მეორეს მხრივ, ჩართულობა, როგორც ცვლადი, ჰეგემონის ატრიბუტების - ძალისა და სუ ლიდერობის განხორციელების ნების გამოხატულებაა და აჩვენებს ჰეგემონის უნარს მიაღწიოს სასურველ შედეგებს საერთაშორისო ურთიერთობებში. ორგანზომილებიან ღერძზე განთავსების შემთხვევაში ჩართულობა აჩვენებს თუ რა მოცულობის ჩართულობის (ჩართულობა დისერტაციაში განმარტებულია, როგორც სასურველი შედეგების მიღება სუ-ში) შენარჩუნების შესაძლებლობას აძლევს ჰეგემონს ესა თუ ის სტრატეგია.

სუ ლიტერატურაში წარმოდგენილი თეორიული არგუმენტების საფუძველზე დისერტაცია ადგენს, რომ დაღმავალი ჰეგემონის ოპტიმალური საგარეო პოლიტიკური სტრატეგია არის ის, რომელიც შესაძლებლობას აძლევს მას შეინარჩუნოს მაღალი ჩართულობა დანახარჯების შემცირების პარალელურად. ამგვარად, ანალიტიკური ჩარჩო, რომელიც სტრატეგიების კლასიფიკაციას მათთან ასოცირებული დანახარებისა და ჩართულობის მოცულობის საფუძველზე ახდენს, შესაძლებელს ხდის შეფასდეს ჰეგემონის წინაშე არსებული სტრატეგიები და გამოვლინდეს მათ შორის ყველაზე ოპტიმალური.

ანალიტიკური ჩარჩოს შექმნა, რომელიც დაღმავალი ჰეგემონის სტრატეგიების შეფასებას ცვლადების, დანახარჯებისა და ჩართულობის საფუძველზე ახდენს, დისერტაციის სიახლეა.

ორიგინალური ოპტიმალური საგარეო პოლიტიკური სტრატეგის შემუშავება – დისერტაციის მიზნების შესაბამისად, რაც ოპტიმალური სტრატეგიის შემუშავებისას სუ ლიტერატურაში გამოვლენილი ნაკლოვანებების შევსებას მოიაზრებს, შემუშავებული სტრატეგიის სიახლე მდგომარეობს შემდეგში:

(1) სისტემური შედეგების გათვალისწინება ძალთა განაწილების სპეციფიკის თვალსაზრისით დაღმავალი ჰეგემონის ოპტიმალური სტრატეგიის შემუშავებისას, რაც სუ ლისტერატურაში არსებულ სტრტატეგიებში არ ხორციელდება. სისტემური შედეგების თვალსაზრისით სპფეციფიურ შემთხვევას მორგებული თეორიული მსჯელობა სტრატეგიის განვითარებისას ცვლის სტრატეგიის არსს მისი მიზნებისა და საშუალებების თვალსაზრისით, განაპირობებს სტრატეგიის მეტ სიზუსტესა და ზღუდავს შემთხვევებს (cases), რომლებიც თეორიული არგუმენტაციის განვითარების ან მისი ვალიდურობის დადასტურებისთვის შეიძლება იქნას გამოყენებული;

(2) ჰეგემონის თეორიული კონცეპტუალიზაცია, რაც შესაძლებელს ხდის სტრატეგია მიმართული იყოს არა მხოლოდ დაღმასვლის დეტერმინანტების (განმსაზღვრელი ფაქტორების) და მათი ემპირიული გამოვლინების წინააღმდეგ, არამედ სტრატეგიის განხორციელების მექანიზმების შემუშავებისას გაითვალისწინოს მათი გავლენა ჰეგემონის ატრიბუტებზე. აღნიშნული ხორციელდება ჰეგემონის თეორიული კონცეპტუალიზაციის შედეგად გამოვლენილი ცვლადის, ჩართულობის ანალიტიკურ ჩარჩოში ინტეგრირებით და განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სწორი და ეფექტური სტრატეგიის განსაზღვრისთვის - ცალკე აღებული საშუალებები ჰეგემონის ძალისმიერი რესურსების დაზოგვისთვის, რაც დაღმასვლის წინააღმდეგ გამოიყენება, ხშირად, როგორც ეს დისერტაციაში მოცემულმა იზოლაციონიზმის სტრატეგიის განხილვამაც დაადასტურა, უარყოფითად მოქმედებს ჰეგემონის საერთაშორისო მდგომარეობაზე მისი ატრიბუტების დაზიანებით;

(3) სტრატეგიის კომპლექსურობა დაღმასვლის განმაპირობებელი და ხელშემწყობი (moderating) ყველა ფაქტორის თანადროული შეფერხების თვალსაზრისით. აღნიშნული მიიღწევა ჰეგემონური დაღმასვლის თეორიული კონცეპტუალიზაციასას დაღმავლის

განმაპირობებელი და ხელშემწყობი ფაქტორების დადგენით. შედეგად, შემუშავებული სტრატეგია, არსებული სტრატეგიების ნაწილისგან განსხვავებით, მიმართულია არა მხოლოდ დაღმასვლის ემპირიული გამოვლინების, დანახარჯების წინააღმდეგ, არამედ თავად დაღმასვლის გამომწვევი მიზეზების წინააღმდეგ. არსებული სტრატეგიების მეორე ნაწილისგან განსხვავებით, დისერტაციაში შემუშავებული სტრატეგია მიმართულია არა დაღმასვლის განმაპირობებელი ცალკეული ფაქტორების წინააღმდეგ, არამედ გულისხმობს დაღმასვლის ყველა განმაპირობებელ და ხელშემწყობ ფაქტორზე ერთობლივ, კომპლექსურ ზემოქმედებას;

(4) ოპტიმალური სტრატეგიის განხორციელების ორიგინალური მექანიზმების განსაზღვრა, რომლის ფარგლებშიც სტრატეგიის იმ მიზნებისთვისაც, რომლებიც დასახულია არსებული სტრატეგიების მიერ, ახლებური მექანიზმებია შემუშავებული. ამის მაგალითია ჰეგემონის მიერ საკუთარი ეკონომიკური ინტერესების უზრუნველყოფისთვის შემუშავებული მექანიზმები. არსებული სტრატეგიების ფარგლებში მიიჩნევა, რომ ჰეგემონის სამხედრო ბაზების მსოფლიოში განთავსებისა და სახელმწიფოებისთვის უსაფრთხოების გარანტიების შეთავაზების საშუალებით უზრუნველყოფილი გავლენა მისი ფინანსურ-ეკონომიკური ურთიერთობების კონცენტრაციების რეგიონებზე საკმარისია ჰეგემონის ეკონომიკური ინტრესების უზრუნველყოფისთვის. თუმცა, როგორც სტრატეგიის შემუშავებისას გამოვლინდა, სამხედრო ძალაზე დაფუძნებული გავლენა ხელს უწყობს ჰეგემონს მოიპოვოს პრივილეგირებული პოზიცია შესაბამის რეგიონებთან ურთიერთობისას, მაგრამ თავისთავად არ განაპირობებს ჰეგემონის ეკონომიკური ინტერესების უზრუნველყოფას. დისეტაციის თანახმად, ასეთ რეგიონებზე გავლენით წარმოშობილი შესაძლებლობების მაქსიმალური გამოყენებისთვის ჰეგემონმა მონაწილეობა უნდა მიიღოს რეგიონული ფინანსურ-ეკონომიკური წესრიგისა და ურთიერთობების ფორმირების პროცესში მათი საკუთარ ინტერესებთან შესაბამისობაში ჩამოყალიბების მიზნით. საკუთარი ინტერესებისათვის ხელსაყრელი ეკონომიკური წესრიგის დამკვიდრებით ჰეგემონი ხდება სახელმწიფო, რომელიც საუკეთესო შესაძლებლობებს ფლობს ფინანსურ-

ეკონომიკური თანამშრომლობიდან მაქსიმალური სარგებლის მიღებისთვის. შედეგად, ჰეგემონი განაგრძობს მსოფლიო წესრიგისთვის გაღებული არათანაზომიერი (disproportionate) დანახარჯების სანაცვლოდ არათანაზომიერი სარგებლის მიღებას. ამით, ჰეგემონი ხელს უშლის კონკურენტ სახელმწიფოებს მისი ინტერესების წინააღმდეგ თავად დაამკვიდრონ თავიანთთვის სასარგებლო ეკონომიკური წესიგი და მიიღონ მაქსიმალური სარგებელი, რაც მათი ზრდისა და ჰეგემონის დაღმასვლის დაჩქარებას გამოიწვევდა.

პრაქტიკული და თეორიული ღირებულება

როგორც აღინიშნა, დისერტაციის მიზანს წარმოადგენს თეორიის განვითარება, იმისათვის რომ შეიქმნას ანალიტიკური ჩარჩო დაღმავალი ჰეგემონის საგარეო პოლიტიკის სტრატეგიების კლასიფიკაციისა და შეფასებისათვის, გამოვლინდეს ოპტიმალური სტრატეგია და შემუშავდეს მისი განხორციელების მექანიზმები. შესაბამისად, დისერტაციის ზემოთ აღწერილი სიახლეები ამავდროულად მის თეორიულ ღირებულებას განსაზღვრავენ.

დამატებით, დისერტაციის თეორიული ღირებულება გამყარებულია სუ ლიტერატურის ანალიზითა და სინთეზით დაღმავალი ჰეგემონის ოპტიმალური საგარეო პოლიტიკური სტრატეგიის ანლტერნატიული სტრატეგიის - იზოლაციონიზმის - განხორციელების სირთულეებსა და მის შედეგებთან დაკავშირებით. არსებული თეორიული არგუმენტების განხილვის მიღმა იზოლაცაში მყოფი ჰეგემონის მხრიდან საკუთარი ეროვნული ინტერესების უზრუნველყოფის სირთულეებთან დაკავშირებით, დისერტაციაში დამატებით წარმოდგენილია ვრცელი თეორიული მსჯელობა სტრატეგიის უუნარობის შესახებ, მოახდინოს დაღმავალი ჰეგემონის ეკონომიკური ინტერესების უზრუნველყოფა.

ბოლოს, დისერტაცია გამოკვეთს ნაკლებად განხილულ საკითხებს სუ თეორიაში, რომლებიც დამატებით კვლევას საჭიროებენ. ასეთია, პოსტ-ჰეგემონურ სისტემაში მოსალოდნელი ძალთა განაწილების გავლენა დაღმავალი ჰეგემონის ოპტიმალურ საგარეო პოლიტიკურ სტრატეგიასა და დანარჩენი სახელმწიფოების რეაგირებაზე

ჰეგემონის ქმედებებისა და მისი ლიდერობის მიმართ. დისერტაციამ ასევე გამოავლინა, რომ ნეორეალიზმის ფარგლებში, საჭიროა დამატებით იქნას შესწავლილი დაღმავალი ჰეგემონის მიერ საკუთარი ეკონომიკური წესრიგის და ეკონომიკური ინტერესების უზრუნველყოფის შესაძლებლობები. ჰეგემონის სამხედრო ბაზების საზღვრებს გარეთ განთავსებით მოპოვებული გავლენა რეგიონებში, რაზეც თეორია აპელირებს ჰეგემონის ეკონომიკური ინტერესების უზრუნველყოფის თვალსაზრისით, ხელს უწყობს, თუმცა არ განაპირობებს უკანასკნელის ინტერესებს მორგებული ეკონომიკური წესრიგის ფორმირებას რეგიონებში. აღნიშნული ნაკლებად გამოკვლეული საკითხების გამოკვეთა სუ თეორიაში დისერტაციის თეორიული ღირებულების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, რადგან მათი შემდგომი შესწავლა გავლენას მოახდენს თეორიულ დებატებზე დაღმავალი ჰეგემონის საგარეო პოლიტიკური სტრატეგიების ირგვლივ.

რაც შეეხება დისერტაციის პრაქტიკულ ღირებულებას, ის მდგომარეობს ანალიტიკურ ჩარჩოში, რომელსაც ის ავითარებს, ასევე იმპლემენტაციის მექანიზმებში, რომლებსაც ის შეიმუშავებს. ანალიტიკური ჩარჩო გამოიყენება დაღმავალი ჰეგემონის მიერ განხორციელებული სტრატეგიის შეფასებისათვის, ხოლო ოპტიმალური სტრატეგიის განხორციელების მექანიზმები, რომელიც მიმართულია დაღმასვლის განმაპირობებელი და ხელშემწყობი ფაქტორების წინააღმდეგ, შესაძლოა გამოყენებულ იქნას როგორც ანალიტიკური გზამკვლევი დაღმავალი ჰეგემონის საგარეო პოლიტიკური სტრატეგიის შემუშავებისას ან კვლევისას.

თეორიული ჩარჩო

საკვლევი საკითხის სისტემური ჭრილი (scope), რომელიც ჰეგემონის დაღმასვლასა და მისი ოპტიმალური საგარეო პოლიტიკური სტრატეგიის შემუშავებას ეხება, სუ საკითხების ფართო სპექტრის ანალიზს მოითხოვს, რაც თეორიული ჩარჩოს არჩევანს სუ ტრადიციული თეორიებით, რეალიზმითა და ლიბერალიზმით ზღუდავს. მხოლოდ ამ ორ თეორიას გააჩნია ამხსნელობითი უნარი (explanatory power), გააანალიზოს სისტემური შედეგები და განსაზღვროს სახელმწიფოთა ქცევის განმაპირობებელი ფაქტორები სუ-ში. ამგვარად, რეალიზმისა და ლიბერალიზმის საშუალებით შესაძლებელია სუ მოვლენების

გაცილებით უფრო ფართო სპექტრის ანალიზი, ვიდრე ნებისმიერი სხვა სუ თეორიის საშუალებით, რომლებიც ძირითადად მხოლოდ სპეციფიურ საკითხებსა და მოვლენებს აანალიზებენ.

ორ ტრადიციულ სუ თეორიას შორის ჰეგემონური დაღმასვლისა და დაღმავალი ჰეგემონის საგარეო პოლიტიკური სტრატეგიების შემსწავლელი კვლევების მნიშვნელოვანი ნაწილის მსგავსად, დისერტაციის თეორიულ ჩარჩოდ შერჩეულია რეალიზმი, კერძოდ კი ნეორეალიზმი. (იხ. Gilpin, 1981; Posen & Ross, 1996, 2011; Mastanduno, 1997; Mearsheimer, 2001; Art, 2004; Ikenberry et al., 2009; Jervis, 2009; Brooks et. al., 2012; Monteiro, 2014). ნეორეალიზმის არჩევა განპირობებულია ორი მთავარი მიზეზით. პირველი მიზეზი ეხება სისტემური შედეგების უფრო სიღრმისეულ ანალიზს, რომელიც აღნიშნული თეორიის ფარგლებშია წარმოდგენილი. მიუხედავად იმისა, რომ როგორც რეალიზმი, ასევე ლიბერალიზმი კარგად განვითარებულ არგუმენტაციას წარმოადგენენ სუ-ში სახელმწიფოთა ქცევის განმსაზღვრელი ფაქტორების შესახებ, რეალიზმის მიერ შემოთავაზებულია ანარქიით განპირობებული სისტემური შედეგების, მათ შორის, სისტემაში არსებული სპეციფიური ძალთა განაწილების შედეგების უფრო ღრმა ანალიზი. რადგან ჰეგემონური დაღმასვლა გულისხმობს ძალთა განაწილების თვალსაზრისით სისტემის ერთი ტიპიდან მეორეში გადასვლას, დაღმასვლის შესწავლა, ისევე როგორც დაღმავალი ჰეგემონის საგარეო პოლიტიკური სტრატეგიების კვლევა საჭიროებს ძალთა განაწილების თვალსაზრისით განსხვავებული სისტემური შედეგების ღრმა ანალიზს. ამგვარად, ნეორეალიზმი მიჩნეულ იქნა თეორიად, რომელიც უკეთესად შეძლებს ჰეგემონური დაღმასვლის ანალიზს.

ნეორეალიზმის თეორიულ ჩარჩოდ შერჩევის მეორე მიზეზია გარემოება, რომ რეალიზმის მიერ შემოთავაზებული სახელმწიფოთა ქცევის განმსაზღვრელი ფაქტორები უფრო სანდოდ იქნა მიჩნეული, ვიდრე ლიბერალიზმის მიერ შემოთავაზებული, განსაკუთრებით, სუ ანალიზისათვის ჰეგემონური სისტემის მიღმა. ნეორეალიზმის თეორიული დაშვებები ემპირიულად დადასტურებულია ძალთა განაწილების თვალსაზრისით ყველა შესაძლო სისტემაში. თუმცა, ლიბერალიზმის თეორიული

დაშვებების ემპირიული დადასტურება, რომლებიც კომპლექსურ ურთიერთდამოკიდებულებასა და ლიბერალური საერთაშორისო რეჟიმებისა და ინსტიტუტების არსებობას ეფუძნება და მათ საერთაშორისო თანამშრომლობის ხელშემწყობ შუალედურ ცვლადებად განიხილავს (იხ. Keohane & Nye, 1977; Krassner, 1982), მნიშვნელოვანწილად მხოლოდ თანამედროვე, მეორე მსოფლიო ომის შემდგომ დაფუძნებული ჰეგემონური წესრიგის ფარგლებშია მოცემული. შედეგად, ლიბერალიზმის მოსაზრებები თანამედროვე ლიბერალური მსოფლიო წესრიგის ინსტიტუტების სიცოცხლისუნარიანობასთან დაკავშირებით პოსტ-ჰეგემონურ სისტემაში, თუმცა თეორიულად არგუმენტირებული, მაგრამ მხოლოდ ჰიპოთეტურია, მაშინ როდესაც რეალიზმის მიერ აღწერილი პოსტ-ჰეგემონური სამყარო ეფუძნება წარსულში არსებული ნებისმიერი არა-ჰეგემონური სისტემის დინამიკის ემპირიულ შესწავლას.

პოსტ-ჰეგემონური მსოფლიოს სუ დინამიკისა და თავისებურებების განსაზღვრა დაღმავალი ჰეგემონის საგარეო პოლიტიკის შემუშავებისას მნიშვნელოვანია, რადგან აღნიშნული სტრატეგია დისერტაციის თანახმად, ერთის მხრივ, მიმართულია ჰეგემონური დაღმასვლის შეფერხებისაკენ, ხოლო მეორეს მხრივ, გულისხმობს ჰეგემონის მომზადებას სწორედ პოსტ-ჰეგემონურ სისტემაში ფუნქციონირებისათვის. შესაბამისად, თუ როგორ მოცემულობაში ფუნქციონირებისათვის ხდება ჰეგემონის მომზადება საგარეო პოლიტიკის სტრატეგიის მიერ გავლენას ახდენს მის მიმართულებებზე. აქედან გამომდინარე, რეალიზმსა და ლიბერალიზმს შორის, არჩევანი რეალიზმის სასარგებლოდ განპირობებულია ორი გარემოებით. პირველ რიგში, რეალიზმი წარმოადგენს არგუმენტებს, რომლებიც ემპირიულად დადასტურებულია ძალთა განაწილების თვალსაზრისით ყველა ტიპის სისტემის, მათ შორის, მულტიპოლარული სისტემის შემთხვევაშიც, რომლის წარმოქმნაც მოსალოდნელია ჰეგემონის დაღმასვლის შემდგომ. ამავდროულად, პოსტ-ჰეგემონურ სისტემაში მოვლენების განვითარების თვალსაზრისით, ლიბერალიზმთან შედარებით რეალიზმის პროგნოზი პესიმისტურია და თანამედროვე სამყაროსთვის დამახასიათებელი შერბილებული (mitigated) ანარქიის

დასასრულსა და ძალთა ბალანსზე დაფუძნებული წესრიგის დამკვიდრებას წინასწარმეტყველებს. თუმცა პოსტ-ჰეგემონურ სამყაროსთან დაკავშირებული თეორიული მოლოდინების სიზუსტის დადგენა ცდება წინამდებარე დისერტაციის ჩარჩოებს, მასში განვითარებული სტრატეგიისათვის თეორიულ ჩარჩოდ შერჩეულ იქნა რეალიზმი, რისი საშუალებითაც სტრატეგია მოვლენების განვითარების უარესი სცენარისთვის მზაობას ითვალისწინებს.

აღნიშნული მიზეზებიდან გამომდინარე, დისერტაციისთვის გენერალურ თეორიულ ჩარჩოდ გამოყენებულია ნეორეალიზმი. საკვლევი საკითხის ანალიზისთვის დისერტაცია იყენებს თეორიული სკოლის უმთავრესი წარმომადგენლების, ქენეთ უოლცის, ჯონ მერშაიმერის, რობერტ ჯერვისის, რობერტ არტის, ბარი პოუზენის, სტივენ უოლტის, უილიამ უოლფორსის ნაშრომებში მოცემულ თეორიულ არგუმენტებს.

ნეორეალიზმის გამოყენება დისერტაციის თეორიულ ჩარჩოდ გულისხმობს, რომ დაღმავალი ჰეგემონის ოპტიმალური სტრატეგიის შემუშავება ხორციელდება თეორიის დაშვებებზე დაყრდნობით, რომლის მიხედვითაც სახელმწიფოთა ქცევას სუ-ში განსაზღვრავს საერთაშორისო სისტემის ანარქიული სტრუქტურა. სტრატეგიის შემუშავება ხორციელდება ნეორეზლიზმის მიერ განსაზღვრულ ისეთ სისტემურ შედეგებზე დაფუძნებით, როგორებიცაა თვით-დახმარების მდგომარეობის არსებობა; ძალის განსაზღვრა შედარებით კატეგორიაში (defining power in relative terms); სახელმწიფოთა უსაფრთხოების განმსაზღვრელ ფაქტორად ძალის მოაზრება; თანამშრომლობის დაბალი პერსპექტივები ჰეგემონური სისტემის მიღმა ისეთი ხელისშემშლელი ფაქტორების გამო, როგორებიცაა ასიმეტრიული მოგება და განდგომის საფრთხე; სისტემაში ძალთა განაწილების გავლენა სახელმწიფოთა ქცევაზე სუ-ში; ექსკლუზიურად ჰეგემონური წესრიგისთვის დამახასიათებელი თანამშრომლობის დომინირების შესაძლებლობები. შედეგად, სახელმწიფოთა ქცევის რეალიზმის მიერ განსაზღვრული მოდელის საფუძველზე აგებული დაღმავალი ჰეგემონის საგარეო პოლიტიკური სტრატეგია მიმართულია ჰეგემონის ძალისმიერი რესურსებისა და

საერთაშორისო ურთიერთობებზე გავლენის შენარჩუნებისკენ, რომელიც თეორიის თანახმად, აუცილებელია მისი ეროვნული ინტერესების - უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად.

ნეორეალიზმის მიერ განსაზღვრული სისტემური შედეგები ასევე განაპირობებს დისერტაციაში მოცემულ ერთ-ერთ უმთავრეს თეორიულ დაშვებას, რომელიც განსაზღვრავს დაღმავალი ჰეგემონის თეორიული სტრატეგიის ფარგლებში მოაზრებული საგარეო პოლიტიკური ქმედებებისა და მექანიზმების არსს. ნეორეალიზმის არგუმენტებზე დაფუძნებით, რომლის თანახმადაც სისტემაში ძალთა განაწილების მოდელი/კონფიგურაცია გავლენას ახდენს სისტემური შედეგების ტიპზე და შესაბამისად, სახელმწიფოთა ქცევაზე სუ-ში, კვლევა ლიმიტირებულია ჰეგემონური დაღმასვლის სპეციფიური შემთხვევით. კერძოდ, დისერტაცია განიხილავს შემთხვევას, როდესაც ჰეგემონური სისტემის დაღმასვლის შედეგად მოსალოდნელია მულტიპოლარული სისტემის წარმოქმნა. ნეორეალიზმის არგუმენტებზევე დაყრდნობით, დისერტაციაში დადგენილია, რომ მოცემულ შემთხვევაში, ჰეგემონური დაღმასვლის მხოლოდ შეფერხებაა შესაძლებელი, და არა მისი შეჩერება ან რევერსია. შედეგად, დისერტაციაში შემუშავებულ დაღმავალი ჰეგემონის საგარეო პოლიტიკურ სტრატეგიას გააჩნია სამი მთავარი მიმართულება: დაღმასვლის შეფერხება, დაღმასვლის პროცესის მენეჯმენტი, და ბოლოს, გრძელვადიანი მიზნის სახით, პოსტ-ჰეგემონური სისტემის საკუთარ ინტერესებში ჩამოყალიბების ხელშეწყობა.

ბოლოს, ნეორეალიზმის გამოყენება კვლევის თეორიულ ჩარჩოდ განაპირობებს სტრატეგიის ორიენტაციას, საბოლოო მიზნის სახით მიმართული იყოს მხოლოდ ჰეგემონის ძალის და არა მისი წესრიგის შენარჩუნებისკენ პოსტ ჰეგემონურ სისტემაში. რეალიზმი მიიჩნევს, რომ ჰეგემონმა უნდა დააფუძნოს და შეინარჩუნოს მის ინტერესებს მორგებული მსოფლიო წესრიგი საკუთარი ჰეგემონიის განმავლობაში, რადგან ამგვარი წესრიგი გარდა იმისა, რომ ჰეგემონისთვის მატერიალური თვალსაზრისით სასარგებლოა, შესაძლებლობას აძლევს მას უზრუნველყოს საკუთარი ეროვნული

ინტერესები და განახორციელოს საერთაშორისო ლიდერობა. თუმცა, რეალიზმი უარყოფს კოლექტიური წესრიგის განხორციელების შესაძლებლობას მულტიპოლარულ სისტემაში, რაც შეიძლებოდა ყოფილიყო ჰეგემონის მიერ დაფუძნებული წესრიგის შენარჩუნების ერთადერთი შესაძლებლობა მისი დაღმასვლის შემდეგ. რეალიზმი მიიჩნევს, რომ ასეთ სისტემაში წესრიგი მხოლოდ ძალთა ბალანსს შეიძლება დაეფუძნოს, რა შემთხვევაშიც, ძალა სახელმწიფოს ყველაზე ღირებულ რესურსს წარმოადგენს (Waltz, 1979, 2000; Gilpin, 1975; Mearsheimer 2001). შესაბამისად, თუმცა წინამდებარე კვლევაში შემუშავებული საგარეო პოლიტიკური სტრატეგია ორიენტირებულია ჰეგემონური წესრიგის შენარჩუნებაზე დაღმავალი ჰეგემონის მხრიდან მანამ სანამ ის ჰეგემონის სტატუსს ინარჩუნებს, ის არ მოიცავს მექანიზმებს წესრიგის შენარჩუნებისათვის პოსტ-ჰეგემონურ სისტემაში. ამის ნაცვლად, გრძელვადიანი პერსპექტივის სახით, სტრატეგია ორიენტირებულია დაღმავალი ჰეგემონის ძალისმიერი რესურსების შენარჩუნებასა და საერთაშორისო სისტემაში მისთვის ხელსაყრელი ძალთა განაწილების დამკვიდრების ხელშეწყობაზე მოსალოდნელი მეტოქეების პოტენციური დამბალანსებლების გაძლიერების საშუალებით.

ნეორეალიზმის ძირითადი არგუმენტების გარდა, საკვლევი საკითხის ანალიზისას გამოყენებულია სხვადასხვა რეალისტური თეორია, ასევე არა-რეალისტური თეორია, რომელიც განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით არ მოდის წინააღმდეგობაში ნეორეალიზმის არგუმენტებთან, არამედ ავსებს მას. ასეთია, დისერტაციაში მოცემული ჰეგემონის თეორიული კონცეპტუალიზაციისა და დაღმასვლის განმსაზღვრელი ფაქტორების ანალიზის შემთხვევები.

ჰეგემონიის თეორიული კონცეპტუალიზაცია, ნეორეალიზმის ძირითად არგუმენტებთან ერთად, ჰეგემონისა და მისი წესრიგის ლეგიტიმურობის მნიშვნელობის ანალიზისას ეფუძნება კონსტრუქტივიზმის არგუმენტებს, რომლებიც მოცემულია მართა ფინემორის, ჯონ აიკენბერის და ჩარლზ კუფჩანის ნაშრომებში. ლეგიტიმაციის ფენომენის შემოტანა შესაძლებელს ხდის აიხსნას ჰეგემონის უნარი განახორციელოს მსოფლიო ლიდერობა,

მაშინ როდესაც მისი რესურსები შეზღუდულია მსოფლიო ბატონობის უზრუნველსაყოფად. ამავე ფენომენის საფუძველზე, ასევე განმარტებულია ჰეგემონის მიერ წესებზე დაფუძნებული საერთო სარგებლის განმაპირობებელი მსოფლიო წესრიგის შექმნის აუცილებლობა, რადგან ამგვარი წესრიგი ჰეგემონის ლიდერობისადმი კონფორმინგს (ნებაყოფლობით დაქვემდებარებას) განაპირობებს. გარდა ამისა, კონსტრუქტივიზმის იდეები ლეგიტიმურობასთან დაკავშირებით, სტივენ უოლტის საფრთხის ბალანსის თეორიის (balance of threat theory) არგუმენტებთან ერთად, შესაძლებელს ხდის გაანალიზებულ იქნას დაბალანსების ტენდენციები ჰეგემონის წინააღმდეგ, რომელიც ჰეგემონური დაღმასვლის ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორია. შედეგად, დისერტაციაში დადგენილია ლეგიტიმაციისა და ჰეგემონის ლიდერობის კონსენსუალურობის ხარისხის შენარჩუნების აუცილებლობა დაღმავალი ჰეგემონისათვის, ისევე როგორც შემუშავებულია მათ შენარჩუნებაზე ორიენტირებული საგარეო პოლიტიკის განხორციელების მექანიზმები დაღმავალი ჰეგემონის ოპტიმალური საგარეო პოლიტიკური სტრატეგიის ფარგლებში.

დაღმასვლისა და მისი განმსაზღვრელი ფაქტორების ანალიზისას, დისერტაციაში ასევე გამოყენებულია რეალისტური ჰეგემონური სტაბილურობის თეორიის (რობერტ გილპინი, ჩარლზ ქინდლბერგერი, რობერტ კიოჰეინი, სტივენ კრასნერი), პოლიტიკური ეკონომიისა (რობერტ გილპინი, ჩარლზ ქინდლბერგერი) და ჯორჯ მოდელსკის გრძელი ციკლების თეორიის (long cycle theory) ფარგლებში წარმოდგენილი არგუმენტები. კერძოდ, აღნიშნულ თეორიებზე დაყრდნობით განმარტებულია ჰეგემონის მიერ საკუთერი რესურსების გადახარჯვის, იგივე, გამოფიტვის (overextension) და ე.წ. 'free-riding'[1] ფენომენი ჰეგემონურ სისტებაში, რაც შესაძლებელს ხდის გაანალიზებულ იქნას ჰეგემონისთვის სისტემის შენარჩუნებისა და დომინირების ხარჯების მზარდი ბუნება.

[1] გულისხმობს სახელმწიფოების მხრიდან ჰეგემონის მიერ შექმნილი ე.წ. საჯარო საქონლით (მაგ. სტაბილური სუ) უფასოდ, დანახარჯების გაღების გარეშე სარგებლობას.

შედეგად, გამოვლენილია სისტემის შენარჩუნების დანახარჯების შემცირების აუცილებლობა დაღმავალი ჰეგემონისათვის, ხოლო დაღმავალი ჰეგემონის ოპტიმალური საგარეო პოლიტიკური სტრატეგიის ფარგლებში შემუშავებულია მექანიზმები 'free-riding'-ის აღმოფხვრისა და სისტემის შენარჩუნების ხარჯების შემცირებისათვის.

კვლევის მეთოდოლოგია და მეთოდები

დისერტაციის ექსპლორაციულმა (explorative) ბუნებამ, რომელიც თეორიის განვითარებას (theory building) მოიაზრებს, განაპირობა კვლევის ხარისხობრივი მეთოდების არჩევანი მათი ოპტიმალურობიდან გამომდინარე მსგავსი კვლევების განხორციელებისას. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ დისერტაცია თეორიის განვითარებას ახორციელებს, ის არ წარმოადგენს ჰიპოთეტურ ან ნორმატიული ხასიათის დისკუსიას დაღმავალი ჰეგემონის ოპტიმალური სტრატეგიის შესახებ, რადგან დისერტაციაში მოცემული თეორიული მსჯელობა ეფუძნება სუ თეორიის ფუძემდებლურ ნაშრომებში წარმოდგენილ ემპირიულად დადასტურებულ თეორიულ არგუმენტებს. შედეგად, ოპტიმალური სტრატეგიის განვითარება ემყარება თეორიულ მოდელირებას სუ თეორიის კარგად დამკვიდრებული არგუმენტების საფუძველზე.

მასში განვითარებული ოპტიმალური სტრატეგიის (მულტილატერალიზმი) ან მისი ალტერნატიული სტრატეგიის (იზოლაციონიზმი) შეფასებისას, დისერტაცია შეზღუდულია შემთხვევის ანალიზზე (case study) დაფუძნებული რაოდენობრივი მოგება-ზარალის შეფასების (cost-benefit calculation) ნაკლებობით. ამის ნაცვლად, ოპტიმალური სტრატეგიის შეფასება დისერტაციაში უმეტესწილად ხორციელდება სუ თეორიის არგუმენტებზე დაფუძნებით. დისერტაციის აღნიშნული შეზღუდვა, იზოლაციონიზმის სტრატეგიასთან მიმართებაში, განპირობებულია ორი გარემოებით: პირველი, მას შემდეგ რაც საერთაშორისო ურთიერთობებმა მსოფლიო მასშტაბი მოიცვა[2],

[2] იგულისხმება, რომ ანალიტიკური თვალსაზრისით მოცემულ შემთხვევაში გამოუსადეგარია იზოლაციონიზმის ისტორიული შემთხვევები იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც მსოფლიო არ იყო

სუ ისტორიაში არ არსებობს დაღმავალი ჰეგემონის მხრიდან იზოლაციონიზმის სტრატეგიისადმი მიმართვის მაგალითი. აღნიშნული გარემოება, ერთის მხრივ, ამყარებს იზოლაციონიზმის სტრატეგიის განხილვისას წარმოდგენილ ნეორეალიზმის არგუმენტებს აღნიშნული სტრატეგიის განხორციელების შეუძლებლობისა (non-feasibility) და მისი არა-რაციონალურობის შესახებ (იხ. ქვეთავი 3.2), თუმცა მეორეს მხრივ, შეუძლებელს ხდის თეორიული არგუმენტების ვალუდურობის დადასტურებას შემთხვევის ანალიზის საფუძველზე განხორციელებული მოგება-ზარალის შეფასებით.

ამავდროულად, იზოლაციონიზმის სტრატეგიის განხორციელებასთან დაკავშირებით, მოგება-ზარალის შეფასება შეუძლებელია მოქმედი ჰეგემონის, აშშ შემთხვევაშიც, რადგან ასეთი შეფასება მოვლენების განვითარების მოდელირებას უნდა დაეფუძნოს. მიუხედავად იმისა, რომ მოვლენების განვითარების მოდელირების საშუალებით გარკვეულწილად შესაძლებელია იზოლაციის შედეგად დაზოგილი ხარჯების გაზომვა, შეუძლებელია ამავე სტრატეგიის განხორციელებით გამოწვეული დანახარჯების დაანგარიშება. ამის გამო, სტრატეგიის რაოდენობრივი მოგება-ზარალის შეფასება არც სხვა შესაბამის ნაშრომებშია წარმოდგენილი (მაგ., იხ. Posen & Ross, 1996; Art, 2004) და მის ნაცვლად, სტრატეგიის კრიტიკა, დისერტაციის ანალოგიურად, თეორიულ არგუმენტებზე დაფუძნებით ხორციელდება.

რაც შეეხება დისერტაციაში განვითარებულ საგარეო პოლიტიკურ სტრატეგიას, მულტილატერალიზმს, მტკიცება მისი ოპტიმალურობის შესახებ ასევე ეფუძნება თეორიულ არგუმენტაციას (თუმცა, თავის მხრივ, სტრატეგიის შემუშავებისას გამოყენებული თეორიული არგუმენტები ემპირიულად დადასტურებულია შესაბამის თეორიულ ნაშრომებში). აღნიშნული გარემოება, როგორც უფრო ვრცლად წინამდებარე შეზღუდვების (limitations) სექციაშია განმარტებული, ასევე განპირობებულია

დაკავშირებული და მის ერთ რეგიონში ნაკლებად ფლობდნენ ინფორმაციას სხვა რეგიონებში მიმდინარე მოვლენების შესახებ. ასეთია, მაგალითად, ჩინეთის იზოლაციის შემთხვევა 15-19 საუკუნეებში.

ჰეგემონური დაღმასვლის ისტორიული შემთხვევების არარელევანტურობით ნაშრომში წარმოდგენილ ჰეგემონური დაღმასვლის შემთხვევასთან მიმართებაში. კერძოდ, ერთის მხრივ, ისტორიული შემთხვევების რელევანტურობა შეზღუდულია დისერტაციაში განსახილველი შემთხვევისთვის დამახასიათებელი განსხვავებული სისტემური შედეგებიდან გამომდინარე, რაც ჰეგემონური სისტემის დაღმასვლის შემდგომ მულტიპოლარული სისტემის წარმოქმნას მოიაზრებს. მეორეს მხრივ, ისტორიული შემთვევების რელევანტურობა შეზღუდულია თანამედროვე ჰეგემონური წესრიგის ექსკლუზიური მახასიათებლის, საერთაშორისო რეჟიმებისა და ინსტიტუტების განვითარებული ქსელის არსებობის გამო, რომელიც დისერტაციაში შემუშავებული სტრტეგიის ფარგლებში ჰეგემონის მიერ საკუთარი გავლენის და ლიდერობის განხორციელებისა და შენარჩუნების უმნიშვნელოვანეს მექანიზმად არის მიჩნეული.

რაოდენობრივი მოგება-ზარალის შეფასების ნაცვლად, დისერტაცია მოიცავს შემთხვევის ანალიზს, რომელიც ახდენს მასში განვითარებული თეორიული სტრატეგიის ვალიდურობის დადასტურებას მისი მოქმედი ჰეგემონის, აშშ-ს საგარეო პოლიტიკურ სტრატეგიასთან ანალოგიურობის გამოვლენის საშუალებით ბარაკ ობამას ადმინისტრაციის პერიოდში. ვალიდურობის დადასტურება ხორციელდება იმის გამოვლენით, რომ ჩვენს მიერ განხორციელებული თეორიული მოდელირების შედეგად დამოუკიდებლად განვითარებული დაღმავალი ჰეგემონის ოპტიმალური სტრატეგია თანხვედრაშია მოქმედი ჰეგემონის მიერ განხორციელებულ საგარეო პოლიტიკურ სტრატეგიასთან, რომლიც მისმა აღმასულებელმა შტომ შეიმუშავა.

დაღმავალი ჰეგემონის ოპტიმალური საგარეო პოლიტიკური სტრატეგიის დადგენის მიზნით, პირველ რიგში, დისერტაცია მიმართავს ჰეგემონის თეორიულ კონცეპტუალიზაციასა და შედეგად, მისი ატრიბუტების განსაზღვრას. აღნიშნული ხორციელდება ჰეგემონის ატრიბუტების ემპირიული გამოხატულების დადგენის მიზნით, რომლიც დისერტაციაში გამოყენებულია დაღმასვლის წინააღმდეგ მიმართული სტრატეგიის შეფასების საშუალებად. კერძოდ, ჰეგემონის ატრიბუტების ემპირიული

გამოვლინება, რომელიც დისერტაციაში ჩართულობად მოიხსენიება, ასახავს სტრატეგიის გავლენას ჰეგემონის მდგომარეობაზე - მაღალი ჩართულობა ჰეგემონის ძლიერების, ხოლო დაბალი ჩართულობა, მისი დაღმასვლის ინდიკატორია. ჰეგემონის თეორიული კონცეპტუალიზაცია და მისი ატრიბუტების ემპირიული გამოხატულების განსაზღვრა სუ ლიტერატურაში წარმოდგენილი ჰეგემონის დეფინიციების და ჰეგემონიის სისტემური შედეგების ანალიზის სინთეზის საფუძველზე ხორციელდება.

სტრატეგიის წარმატების შეფასების აღნიშნული კრიტერიუმის დადგენის შემდეგ, დისერტაციაში ხდება ჰეგემონური დაღმასვლის განმაპირობებელი ფაქტორების (დეტერმინანტების) განსაზღვრა, რაც საჭიროა სტრატეგიის განხორციელების მექანიზმების შემუშავებისთვის. დაღმასვლის დეტერმინანტების დადგენაც სუ ლიტერატურაში აღწერილი დაღმასვლის განმაპირობებელი ფაქტორებისა და სისტემური შედეგების სინთეზის საფუძველზე ხორციელდება. დეტერმინანტების დადგენის შემდეგ, დისერტაციაში ხორციელდება მათი ემპირიული გამოხატულების, დანახარჯების განსაზღვრა, რომელიც ჰეგემონის ძალისმიერი რესურსების გამოფიტვას განაპირობებს. დეტერმინანტების ემპირიული გამოხატულების სტრატეგიის შეფასების კრიტერიუმად გამოყენება წარმოაჩენს თუ რამდენად ეფექტურია დაღმასვლის დეტერმინანტების წინააღმდეგ მიმართული მექანიზმები, რომელსაც სტრატეგია შეიმუშავებს.

შესაბამისად, ერთის მხრივ, ჰეგემონის ატრიბუტების, მეორეს მხრივ კი მისი დაღმასვლის ემპირიული გამოხატულების ერთობლივად გამოყენება დაღმასვლის შემაფერხებელი სტრატეგიის შეფასებისათვის შესაძლებელს ხდის დადგინდეს როგორც სტრატეგიის ეფექტი დაღმასვლის დეტერმინანტებით განპირობებულ ჰეგემონის ძალისმიერი რესურსების კარგვაზე, ასევე თავად ჰეგემონის მდგომარეობაზე (standing) სუ-ში. ამგვარად, სტრატეგიის შეფასებისას თავიდან არის აცილებული კონცენტრირება მხოლოდ ძალისმიერი რესურსების მდგომარეობაზე, რომელიც ჰეგემონის აბსოლუტური ძლიერების შეფასების შესაძლებლობას იძლევა და არა მისი შედარებითი ძლიერებისა,

რაც ხშირად დაშვებული შეცდომაა დაღმავალი ჰეგემონის სტრატეგიის განსაზღვრისას სუ ლიტერატურაში.

ჰეგემონის მდგომარეობის ემპირიული გამოხატულებისა და დაღმასვლის დეტერმინანტების ემპირიული გამოხატულების დადგენის შემდგომ, დისერტაციაში ხორციელდება დაღმასვლის წინააღმდეგ მიმართული სტრატეგიის შემუშავება. თეორიული ჩარჩოს სახით ნეორეალიზმის შერჩევის შედეგად, დაღმავალი ჰეგემონის სტრატეგიის შემუშავება ხორციელდება სისტემური შედეგების გათვალისწინებით, რომელშიც დაღმასვლა მიმდინარეობს და მორგებულია შემთხვევას, როდესაც ჰეგემონიის შემდეგ მოსალოდნელია მულტიპოლარული სისტემის წარმოქმნა. ოპტიმალური სტრატეგიის განსაზღვრისას, მისი მექანიზმების დადგენამდე, გაანალიზებულ იქნა არა მხოლოდ ჰეგემონიის, არამედ მულტიპოლარულობის სისტემური შედეგები (რადგან დაღმასვლისკენ მიმართული სტრატეგია აღნიშნულ შემთხვევაში მოქმედებას იწყებს ჰეგემონურ სისტემაში, ხოლო ასრულებს, მულტოპოლარულში). შესაბამისად, დაღმავალი ჰეგემონის ოპტიმალური სტრატეგიის შემუშავება ხორციელდება (i) დაღმასვლის სპეციფიური შემთხვევის სისტემური შედეგების, (ii) დაღმასვლის დეტერმინანტების გამომწვევი მიზეზებისა და ემპირიული გამოვლინებების, და (iii) ჰეგემონის მიერ საკუთარი ლიდერობისა და ეროვნული ინტერესების უზრუნველყოფის საშუალებების ანალიზის საფუძველზე.

ამგვარად, დისერტაციის მეორე და მესამე თავებში ჰეგემონისა და ჰეგემონური დაღმასვლის თეორიული კონცეპტუალიზაცია და დაღმავალი ჰეგემონის ოპტიმალური სტრატეგიის შემუშავება ხორციელდება სუ ლიტერატურაში წარმოდგენილი თეორიული არგუმენტების ანალიზისა და სინთეზის საფუძველზე. თეორიული სტრატეგიის შემუშავების შემდეგ, მასთან ანალოგიურობის გამოვლენის მიზნით, დისერტაცია შეისწავლის ობამას ადმინისტრაციის საგარეო პოლიტიკურ სტრატეგიას. აღნიშნულის მიზანია, ერთის მხრივ, თეორიული სტრატეგიის ვალიდურობის დადასტურება, რადგან მასში აღწერილი მექანიზმების გამოყენება მოქმედი ჰეგემონის მიერ ამყარებს

თეორიული მსჯელობის სიზუსტეს, რომელსაც დისერტაციაში შექმნილი სტრატეგია ეფუძნება. მეორეს მხრივ, ობამას ადმინისტრაციის სტრატეგიის ანალიზი თეორიული სტრატეგიის ფარგლებში შექმნილი განხორციელების მექანიზმების პრაქტიკულ რეალიზაციაზე დაკვირვების შესაძლებლობას იძლევა.

<u>მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის მეთოდები შემთხვევის ანალიზისთვის:</u> ობამას ადმიინისტრაციის საგარეო პოლიტიკური სტრატეგიის შესწავლა და ანალიზი ორ მიზანს ემსახურება. პირველი მიზანია ობამას საგარეო პოლიტიკური სტრატეგიის საფუძვლების გამორკვევა იმის გამოსავლენად, რომ დისერტაციაში შექმნილი მულტილატერალიზმის სტრატეგიის მსგავსად, ისიც მიმართულია დაღმასვლის წინააღმდეგ. აღნიშნული ორი სტრატეგიის საერთო საფუძვლების დადგენის შემდგომ, შემთხვევის ანალიზის მეორე მიზანია ანალოგიის გამოვლენა მათ კონკრეტულ ამოცანებსა და განხორციელების მექანიზმებს შორის.

სტრატეგიების საერთო საფუძვლების დასადგენად, კვლევა წარმართულია ორი მიმართულებით. პირველი მიმართულების მიზანია აშშ დაღმასვლის ტენდენციის იდენტიფიცირება. ამ თვალსაზრისით, დაკვირვება ხორციელდება ძალის განმსაზღვრელი ორი ინდიკატორის, ეკონონომიკის მოცულობისა (GDP current prices, GDP PPP) და სამხედრო შესაძლებლობების დინამიკაზე. ინდიკატორების კვლევა ხორციელდება მეორადი სტატისტიკური ანალიზის საფუძველზე.

საერთო საფუძვლების კვლევის მეორე მიმართულება გულისხმობს დოკუმენტების ანალიზს, როგორებიცაა ობამას ადმინისტრაციის სტრატეგიული დოკუმენტები, პრეზიდენტის გამოსვლები, პრეს-კონფერენციებზე გაკეთებული განცხადებები და ინტერვიუები, თეთრი სახლის პრეს-სამსახურის პრეს-რელიზები. დოკუმენტების ანალიზის მიზანია მათი შინაარსობრივი შესწავლა იმის გამოსავლენად, რომ ობამას ადმინისტრაციის საგარეო პოლიტიკური სტრატეგია, მულტილატერალიზმის მსგავსად, საერთაშორისო სისტემაში განხორციელებული ძალთა განაწილებების ცვლილებით არის განპირობებული, რომლის შედეგადაც აშშ შედარებითი ძლიერება მცირდება.

შემთხვევის ანალიზის მეორე მიზნით, რომელიც ორი სტრატეგიის კონკრეტული ამოცანების და განხორციელების მექანიზნების ანალოგიურობის დადგენას მოიაზრებს, კვლევა ასევე ორი მიმართულებით ხორციელდება. პირველი მიმართულება მოიცავს დოკუმენტების ანალიზს და პოლიტიკური დისკურსის ანალიზს, ხოლო მეორე პოლიტიკური ქმედებების ანალიზს. აღნიშნული მიდგომა კომპლექსურია და გამორიცხავს ცალმხრივი დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას მხოლოდ აბსტრაქტულ იდეებსა და რიტორიკაზე დაფუძნებით, ან პირიქით, მხოლოდ ქმედებებზე დაფუძნებით, იდეებისა და ნარატივების უგულვებელყოფით.

პირველი მიმართულება მოიცავს დოკუმენტების ანალიზს და კრიტიკულ დისკურსის ანალიზს (critical discourse analysis (CDA)). დოკუმენტების ანალიზი გულისხმობს ისეთი დოკუმენტების ანალიზს, როგორებიცაა: ობამას ადმინისტრაციის სტრატეგიული დოკუმენტები, პრეზიდენტის გამოსვლები, პრეს-კონფერენციებზე გაკეთებული განცხადებები და ინტერვიუები, თეთრი სახლის პრეს-სამსახურის პრეს-რელიზები, საერთასორისო ფორუმების (G20, გაერო, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი, ნატო) დღის წესრიგები და გადაწყვეტილებები. დოკუმენტების ანალიზის მიზანია შეისწავლოს მათი შინაარსი ობამას ადმინისტრაციის საგარეო პოლიტიკური სტრატეგიისა და მულტილატერალიზმის სტრატეგიის ამოცანებისა და განხორციელებული ქმედებების ანალოგიურობის გამოსავლენად.

კრიტიკული დისკურსის ანალიზის ფარგლებში, კვლევა განხორციელდა პრეზიდენტ ობამას გამოსვლების, პრეს-კონფერენციებზე გაკეთებული განცხადებების და ინტერვიუების შესწავლის საფუძველზე. ამ მიმართულების მიზანია პოლიტიკურ დისკურსზე დაკვირვების შედეგად გამოარკვიოს, თუ რამდენად შეესაბამება ადმინისტრაციის საგარეო პოლიტიკური სტრატეგიის ტენდენციები მულტილატერალიზმის სტრატეგიისას. შესაბამისობა გამოვლენილია ადმინისტრაციის მხრიდან მულტილატერალიზმის სტრატეგიით გათვალისწინებული ისეთი პოლიტიკის ადვოკატირებით, როგორიცაა ‘free-riding’ შემცირება, საერთო საფრთხეებთან საერთო ძალისხმევით გამკლავება, მოქმედებისგან თავშეკავება დანახარჯების თავიდან

არიდების მიზნით ისეთ გამოწვევებზე საპასუხოდ, რომლებიც არ წარმოადგენენ პირდაპირ საფრთხეს აშშ ინტერესებისთვის.

სტრატეგიების ამოცანებისა და განხორციელების მექანიზმების მსგავსების გამოვლენისათვის გამოყენებული მეორე მიმართულებაა ადმინისტრაციის ქმედებების ანალიზი საკუთარ დეკლარირებულ პოლიტიკასა და მულტილატერალიზმის სტრატეგიაში აღწერილ ქმედებებთან შედარების მიზნით. ამისთვის, დისერტაცია აანალიზებს შემთხვევებს, რომლებიც წარმოაჩენს ადმინისტრაციის საპასუხო ქმედებებს საერთაშორისო გამოწვევებზე, გადაწყვეტილებებს ძალის გამოყენებასთან ან მისგან თავშეკავებასთან დაკავშირებით, ზემოთ აღნიშნული საერთაშორისო ფორუმების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებების განხორციელებას, საგარეო ვაჭრობის და ინვესტიციების, ასევე უსაფრთხოების დარგში თანამშრომლობის დინამიკას, მრავალმხრივი (მულტილატერალური) და ორმხრივი თანამშრომლობის დინამიკას. აღნიშნული ქმედებების ანალიზი ხორციელდება ადმინისტრაციის ქმედებების თავსებადობის გამოვლენის მიზნით როგორც საკუთარ გაცხადებულ პოლიტიკასთან, ასევე მულტილატერალიზმის თეორიულ სტრატეგიასთან.

ობამას ადმინისტრაციის ქმედებების ანალიზი მულტილატერალიზმის სტრატეგიასთან თავსებადობის გამოვლენის მიზნით, გარკვეულ შეზღუდვებს უკავშირდება. კერძოდ, ადმინისტრაციის პერიოდში ადგილი არ ჰქონია ყველა იმ გარემოებას თუ შემთხვევას, რომლისთვისაც მის სტრატეგიულ დოკუმენტებში ქმედების განხორციელებაა მოაზრებული. მაგალითად, ადმინისტრაციის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის თანახმად, აშშ ჩაერთვება სამომარ მოქმედებებში საკუთარი მოკავშირის დასაცავად მასზე თავდასხმის განხორციელების ან ასეთი მუქარის არსებობის შემთხვევაში. თუმცა, რადგან ობამას პრეზიდენტობის განმავლობაში მსგავს შემთხვევას ადგილი არ ჰქონია, აშშ-ს არ დასჭირდა ემოქმედა მოკავშირის დაცვის მიზნით. ასეთ შემთხვევებში, ობამას ადმინისტრაციის საგარეო პოლიტიკური სტრატეგიის მულტილატერალიზმთან თავსებადობის გამოვლენა მხოლოდ გაცხადებული პოლიტიკის შესწავლის საფუძველზე

ხორციელდება დოკუმენტების ანალიზისა და კრიტიკული დისკურსის ანალიზის საშუალებით.

შეზღუდვები

დისერტაციის უმთავრესი შეზღუდვა განპირობებულია თეორიულ ჩარჩოდ ნეორეალიზმის შერჩევით და გულისხმობს ძალთა განაწილების სპეციფიური მოდელისთვის დამახასიათებელი სისტემური შედეგების გათვალისწინებას. ამის გამო, დისერტაციაში შექმნილი ანალიტიკური ჩარჩო და ოპტიმალური სტრატეგია მორგებულია შემთხვევას, როდესაც ჰეგემონური სისტემის დაღმასვლის შედეგად მოსალოდნელია მულტიპოლარული სისტემის წარმოქმნა. აღნიშნული შეზღუდვის საფუძველს წარმოადგენს ნეორეალიზმის არგუმენტები, რომელთა თანახმადაც ძალთა განაწილების თვალსაზრისით განსხვავებული სისტემები განსხვავებულ სისტემურ შედეგებს განაპირობებენ, რომლებიც თავის მხრივ, გავლენას ახდენენ სახელმწიფოთა ქცევაზე საერთაშორისო ურთიერთობებში. ამგვარად, სპეციფიური სისტემური შედეგების გათვალისწინებით შექმნილი მულტილატერალიზმის სტრატეგია შესაძლოა არ იყოს ოპტიმალური შემთხვევებისათვის, როდესაც ჰეგემონური სისტემის დაღმასვლის შემდგომ მოსალოდნელია ჰეგემონური, ან ბიპოლარული სისტემის დამკვირდება.

დაღმასვლის განხილვა სპეციფიური ძალთა განაწილების მოდელის პირობებში, თავის მხრივ, ასევე წარმოშობს შეზღუდვებს განვითარებული ოპტიმალური სტრატეგიის თვალსაზრისით. პირველ რიგში, აღნიშნული ფაქტორის გავლენით დისერტაციაში შექმნილი მულტილატერალიზმის სტრატეგია დაღმასვლის შეფერხებისკენ მიმართული სტრატეგიაა და არა მისი შეჩერებისკენ. დისერტაციაში წარმოდგენილი არგუმენტების თანახმად, მოცემული სისტემური შედეგების გათვალისწინებით დაღმასვლის შეჩერება შეუძლებელია, რადგან დაღმავალ ჰეგემონს დაღასვლის პროცესზე ზემოქმედება მხოლოდ საკუთარი ძალისმიერი რესურსების დაზოგვის საფუძველზე შეუძლია და ნაკლები ბერკეტი აქვს კონკურენტების ზრდის შესაჩერებლად. შედეგად, მიუხედავად

იმისა, რომ რესურსების ეფექტური ხარჯვისა და ეკონომიკური ზრდის ტემპის გაუმჯობესების ხარჯზე ჰეგემონს შეუძლია გადააჭარბოს მისი ცალკეული კონკურენტების ზრდას, ის ვერ შეძლებს გადააჭარბოს მათ ჯამურ ზრდას, რის შედეგადაც დაღმასვლა მიმდინარეობას განაგრძობს. მეორე, ნეორეალიზმის არგუმენტების საფუძველზე განვითარებული საგარეო პოლიტიკური სტრატეგია პოსტ-ჰეგემონურ სისტემაში გამორიცხავს ჰეგემონური წესრიგის კოლექტიური ძალისხმევის საშუალებით შენარჩუნების შესაძლებლობას, რის გამოც, საბოლოო მიზნის სახით, ოპტიმალური სტრატეგია მიმართულია მულტიპოლარულ სისტემაში ყოფილი ჰეგეომონის ძალის და არა წესრიგის შენარჩუნებისკენ. მესამე, დაღმასვლის განხილული შემთხვევა გამორიცხავს კონკურენტებთან (მეტოქეებთან) ომის, როგორც დაღმასვლის შეჩერების შესაძლებლობის ინტეგრირებას ოპტიმალური სტრტაეგიის ფარგლებში. დისერტაციაში წარმოდგენილი მსჯელობის თანახმად, არა ერთი, არამედ რამოდენიმე ბირთვული იარაღით შეირაღებული კონკურენტის პირობებში, მსგავსი ქმედება გამანადგურებელი იქნება თავად ჰეგემონისთვისაც. მეოთხე, როგორც აღინიშნა, სისტემური შედეგების სპეციფიკის გათვალისწინება ზღუდავს დაღმასვლის ისტორიული შემთხვევების გამოყენებას ოპტიმალური სტრატეგიის შემუშავებისთვის მათი განსხვავებულ პირობებში მიმდინარეობის გამო სისტემაში არსებული ძალთა განაწილების თვალსაზრისით.

გარდა თეორიული ჩარჩოს შედეგად განრპიობებული შეზღუდვებისა, ისტორიული შემთხვევების გამოყენების თვალსაზრისით ჰეგემონური დაღმასვლის ემპირიული შესწავლისთვის, დისერტაცია გულისხმობს შეზღუდვებს კიდევ ერთი გარემოების გამო. კერძოდ, დისერტაცია შეისწავლის ჰეგემონური დაღმასვლის შემთხვევას თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებისათვის დამახასიათებელი ჰეგემონური წესრიგის პირობებში, რომელიც ინსტიტუტებისა და რეჟიმების განვითარებული ქსელის არსებობას მოიაზრებს. მსგავსი ქსელის არსებობა დისერტაციის ფარგლებში თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებისა და მის პირობებში განვითარებული ჰეგემონური დაღმასვლის მნიშვნელოვან განმასხვავებველ ფაქტორად მიიჩნევა, როგორც

ჰეგემონისათვის გავლენისა და ლიდერობის განხორციელების მექანიზმი. შედეგად, თანამედროვე ჰეგემონი, აშშ, ფლობს საერთაშორისო ურთიერთობებში ჩართულობის განხორციელებისა და მისი შენარჩუნების უპრეცედენტო მექანიზმებს, რომლის ანალოგიც საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიაში არ მოიძებნება. აღნიშნული გარემოების გამო ჰეგემონური დაღმასვლის ისტორიული შემთხვევების რელევანტურობა ამ დისერტაციისთვის შეზღუდულია, რადგან მასში განვითარებული საგარეო პოლიტიკის სტრატეგია დაღმავალი ჰეგემონის მხრიდან ეროვნული ინტერესების უზრუნველყოფას, ასევე, საერთაშორისო ურთიერთობებში ლიდერობის განხორცილებასა და შენარჩუნებას, მნიშვნელოვანწილად სწორედ თანამედროვე ჰეგემონური წესრიგისათვის დამახასიათებელი ინსტიტუტების განვითარებული ქსელის საშუალებით მოიაზრებს.

შინაარსი

თავი 1. ლიტერატურის მიმოხილვა

დისერტაცია იწყება ლიტერატურის მიმოხილვით, რომელიც აანალიზებს სუ ლიტერატურას ჰეგემონურ დაღმასვლასთან და დაღმავალი ჰეგემონის შესაძლო საგარეო პოლიტიკურ სტრატეგიებთან დაკავშირებით. ლიტერატურის მიმოხილვაში ხდება არსებული სტრატეგიების კლასიფიკაცია, თითოეული გამოვლენილი კატეგორიის უმთავრესი არგუმენტებისა და დაშვებების განხილვა და მათი ნაკლოვანებების გამოვლენა, რის საფუძველზეც დგინდება შემდგომი კვლევის აუცილებლობა დაღმავალი ჰეგემონის ოპტიმალურ საგარეო პოლიტიკურ სტრაეტგიასთან დაკავშირებით.

თავი 2. დაღმავალი ჰეგემონის საგარეო პოლიტიკის სტრატეგიების კლასიფიკაცია

დისერტაციის მეორე თავში განხორციელდა ჰეგემონის და ჰეგემონური დაღმასვლის თეორიული კონცეპტუალიზაცია. შედეგად, გამოვლენილ იქნა ჰეგემონის ატრიბუტები - ძალა და საერთაშორისო ლიდერობის განხორციელების ნება; ასევე ჰეგემონური დაღმასვლის დეტერმინანტები: საერთაშორისო სისტემის არაშემზღუდავი სტრუქტურით განპირობებული გამოფიტვა (overextension stipulated by the permissive

structure of the international system); მსოფლიო წესრიგის შენარჩუნების ხარჯებით განპირობებული გამოფიტვა (overextension conditioned by the costs of order maintenance) და საერთაშორისო სისტემაში არსებული ძალთა ბალანსის აღდგენის ბუნებრივი ტენდენცია, რომელიც დამატებით მძაფრდება წინმსწრები ფაქტორის (moderating factor) ჰეგემონის ლეგიტიმურობის შესუსტების შედეგად.

თავის მეორე ნაწილში, შემუშავებულია ანალიტიკური ჩარჩო დაღმავალი ჰეგემონის წინაშე არსებული შესაძლო საგარეო პოლიტიკის სტრატეგიების კლასიფიკაციისა და შეფასებისათვის. ჩარჩო შექმნილია ორი ცვლადის, დანახარჯებისა და ჩართულობის საფუძველზე. ჩართულობა ჰეგემონის ატრიბუტების (ძალა და სუ ლიდერობის განხორციელების ნება) ემპირიული გამოხატულებაა და ჰეგემონის თეორიული კონცეპტუალიზაციის შედეგად დგინდება. დანახარჯები წარმოადგენს დაღმასვლის განმაპირობებელი და ხელშემწყობი ფაქტორების (დამოუკიდებელი და წინმსწრები ცვლადები) ემპირიულ გამოხატულებას და დგინდება ჰეგემონური დაღმასვლის თეორიული კონცეპტუალიზაციის შედეგად. ცვლადების - ჩართულობა და დანახარჯები - ორგანზომილებიან ღერძზე განთავსება ქმნის ანალიტიკურ ჩარჩოს, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელია დაღმავალი ჰეგემონის საგარეო პოლიტიკური სტრატეგიის შეფასება მისი შედეგების გათვალისწინებით დაღმასვლის ტემპზე, რასაც დანახარჯები წარმოაჩენს, ისევე როგორც ჰეგემონის უნარზე განახორციელოს სუ ლიდერობა და უზრუნველყოს საკუთარი ეროვნული ინტერესები, რაც ჩართულობის საფუძველზე ვლინდება (იხ. გამოსახულება 1-1). ანალიტიკური ჩარჩო დაღმავალი ჰეგემონის საგარეო პოლიტიკის სტრატეგიების კლასიფიკაციას ახდენს ცვლადების, დანახარჯებისა და ჩართულობის ოთხი შესაძლო ბალანსის საფუძველზე. კვლევის შედეგად, დგინდება, რომ საუკეთესოა სტრატეგია, რომელიც დაბალი დანახარჯებისა და მაღალი ჩართულობის ბალანსს გულისხმობს, ანუ დანახარჯების შემცირებისა და მაღალი ჩართულობის შენარჩუნების თანადროულ შესაძლებლობას იძლევა. მსგავსი სტრატეგია ოპტიმალურია, რადგან ეროვნული ინტერესების განხორციელების თვალსაზრისით, ჰეგემონისთვის

მნიშვნელოვანია როგორც ძალისმიერი რესურსების დაზოგვა, ასევე სუ-ზე გავლენის განხორციელების შესაძლებლობა.



გამოსახულება 1-1: დაღმავალი ჰეგემონის საგარეო პოლიტიკის სტრატეგიები

თავი 3. დაღმავალი ჰეგემონის ოპტიმალური საგარეო პოლიტიკის სტრატეგია და მისი განხორციელების მექანიზმები

ოპტიმალური სტრატეგიის შეფასების კრიტერიუმებისა და ასეთი სტრატეგიის განსაზღვრის შემდგომ, დისერტაციის მესამე თავში შემუშავებულია მისი განხორციელების მექანიზმები. მექანიზმების შემუშავებამდე, თავი იწყება დაღმავალი ჰეგემონის ალტერნატიული სტრატეგიების უარყოფით, რადგან აღნიშნული სტრატეგიები ვერ უზრუნველყოფენ მეორე თავში დადგენილ დანახარჯებისა და ჩართულობის ოპტიმალურ ბალანსს ჰეგემონისათვის. ოპტიმალური სტრატეგიის ალტერნატიული სტრატეგიების უარყოფის შემდგომ, დისერტაციის მესამე თავში შემუშავებულია ოპტიმალურად მიჩნეული მულტილატერალიზმის სტრატეგიის განხორციელების მექანიზმები.

იმისათვის, რომ მოხდეს საგარეო პოლიტიკური დანახარჯების შემცირება, და იმავდროულად, ჩართულობის შენარჩუნება, ოპტიმალური სტრატეგია მოიაზრებს ორ მთავარ განხორციელების მექანიზმს: საფრთხეების კატეგორიზაციასა და მულტილატერალურ საგარეო პოლიტიკას. საფრთხეების კატეგორიზაცია განსაზღვრავს

საფრთხეების ორ კატეგორიას მათი მნიშვნელობის საფუძველზე ჰეგემონის ეროვნული ინტერესებისათვის და გულისხმობს, რომ ჰეგემონმა უნდა იმოქმედოს იმ შემთხვევაში, თუ არსებობს მისი ეროვნული ინტერესებისადმი მიმართული პირდაპირი საფრთხე, წინააღმდეგ შემთხვევაში კი, თავი შეიკავოს მოქმედებისგან ძალისმიერი რესურსების დაზოგვის მიზნით. მულტილატერალური საგარეო პოლიტიკა დანახარჯების შემცირებას უზრუნველყოფს წესრიგის შენარჩუნების დანახარჯების სხვა სახელმწიფოებისთვის გაზიარებისა და ჰეგემონის ლეგიტიმურობის განმტკიცების საშუალებით. ლეგიტიმურობის შემცირება, რომელიც დაღმასვლის განმაპირობებელი ფაქტორის, დაბალანსების ტენდენციის გამძაფრებას ახდენს, დაღმავალი ჰეგემონის საგარეო პოლიტიკური მიზნების მიღწევის გართულებასა და შედეგად, დანახარჯების გაზრდას გამოიწვევს.

შედეგად, მესამე თავში შემუშავებული სტრატეგიის განხორციელების მექანიზმები უზრუნველყოფენ დაღმასვლის ყველა განმაპირობებელ და ხელშემწყობ ფაქტორთან კომპლექსურ დაპირისპირებას დაღმასვლის სისტემური შედეგების კვლევის შედეგად გამოვლენილი ყველაზე ოპტიმალური საშუალებების გამოყენებით.

თავი 4. შემთხვევის ანალიზი: ოპტიმალურად მიჩნეულ მულტილატერალიზმის სტრატეგიასა და ობამას ადმინისტრაციის საგარეო პოლიტიკურ სტრატეგიას შორის ანალოგიის გამოვლენა

დაღმავალი ჰეგემონის ოპტიმალური საგარეო პოლიტიკური სტრატეგიის გამოვლენისა და მისი განხორციელების მექანიზმების შემუშავების შემდგომ, დისერტაციის მეოთხე, უკანასკნელი თავი მოიცავს შემთხვის ანალიზს, რომელიც შეისწავლის ობამას ადმინისტრაციის საგარეო პოლიტიკურ სტრატეგიას მისი თავსებადობის გამოვლენის მიზნით მულტილატერალიზმის თეორიულ სტრატეგიასთან. შემთხვევის ანალიზი ავლენს ორი სტრატეგიის საფუძვლების, ამოცანებისა და განხორციელების მექანიზმების ანალოგიურობას. ანალოგიის დადასტურება განამტკიცებს დისერტაციაში შექმნილი თეორიული სტრატეგიის ვალიდურობას და შესაძლებელს ხდის განხორციელდეს მის ფარგლებში შემუშავებული მექანიზმების პრაქტიკულ განხორციელებაზე დაკვირვება.

დასკვნა

დისერტაციაში განხორციელდა დაღმავალი ჰეგემონის ოპტიმალური საგარეო პოლიტიკის სტრატეგიის ბუნების კვლევა როდესაც ჰეგემონური დაღმასვლის შედეგად მოსალოდნელია მულტიპოლარული სისტემის წარმოქმნა. დისერტაციაში შეიქმნა ანალიტიკური ჩარჩო დაღმავალი ჰეგემონის წინაშე არსებული საგარეო პოლიტიკის სტრატეგიების კლასიფიკაციისა და შეფასებისათვის, გამოვლინდა ოპტიმალური სტრატეგია და შემუშავდა მისი განხორციელების მექანიზმები.

დისერტაციის ფარგლებში განხორციელებულმა ლიტერატურის მიმოხილვამ გამოავლინა დაღმავალი ჰეგემონის არსებული საგარეო პოლიტიკის სტრატეგიების ნაკლოვანებები, რის საფუძველზეც, დადგინდა შემდგომი კვლევის საჭიროება ოპტიმალური სტრატეგიის განსასაზღვრად. კერძოდ, არსებული სტრატეგიების მთავარ ნაკლოვანებად თეორიული მსჯელობის ნაკლებობა გამოვლინდა, რაც მათ უფრო პრაქტიკული სახის რეკომენდაციებად აქცევს მოქმედი ჰეგემონისთვის, აშშ-სთვის. არსებული სტრატეგიები არ მოიცავენ ჰეგემონის და/ან ჰეგემონური დაღმასვლის თეორიულ კონცეპტუალიზაციას, ისევე, როგორც ჰეგემონიისა და ჰეგემონური დაღმასვლის სისტემური შედეგების ვრცელ, სიღრმისეულ ანალიზს. ეს, როგორც დისერტაციის პირველ თავში გამოვლინდა, არსებული სტრატეგიების სამ უმთავრეს ნაკლოვანებას განაპირობებს, რომელთა აღმოფხვრაც ამ კვლევის მთავარ მიზნად განისაზღვრა: (1) სტრატეგიების უუნარობა უზრუნველყონ ჰეგემონური დაღმასვლის მიზეზების შეფერხება ჰეგემონის ატრიბუტებისა და მისი ეროვნული ინტერესების განხორციელების შესაძლებლობების დაზიანების გარეშე; (2) სპეციფიური სისტემური შედეგების პირობებში შესაძლებელი/„ნებადართული“ (allowed) ჰეგემონური დაღმასვლის შეფერხების ოპტიმალური შესაძლებლობების ანალიზის ნაკლებობა; (3) სტრატეგიებში წარმოდგენილი რეკომენდირებული საგარეო პოლიტიკური ქმედებების თეორიული საფუძვლების ილუსტრირების ნაკლებობა, რაც ბუნდოვანს ხდის მათ

რელევანტურობას სუ-ში სტატუს-კვოს, ანუ იმ მოცემულობის ცვლილებისას, რომლის პირობებშიც განხორციელდა მათი შემუშავება.

არსებული სტრატეგიების აღნიშნული ნაკლოვანებების გათვალისწინებით, **დისერტაციის მიზანს წარმოადგენდა დაღმავალი ჰეგემონის ოპტიმალური სტრატეგიის გამოვლენა ღრმა თეორიული ანალიზის საშუალებით ჰეგემონისა და ჰეგემონური დაღმასვლის თეორიული კონცეპტუალიზაციისა და საკვლევი ჰეგემონური დაღმასვლის შემთხვევის (ჰეგემონის დაღმასვლის შედეგად მულტიპოლარული სისტემის წარმოქმნა) სისტემური შედეგების დადგენის საფუძველზე.** კვლევის აღნიშნული მიზნის დასახვა განხორციელდა, რათა შემუშავებულიყო სტრატეგია, რომელიც შეძლებდა დაღმასვლის განმაპირობებელი და ხელშემწყობი ფაქტორების კომპლექსურ, თანადროულ შეფერხებას სისტემური შედეგებით „ნებადართული“ ყველაზე ოპტიმალური საშუალებებით, ჰეგემონის ატრიბუტებისა და ეროვნული ინტერესების განხორციელების შესაძლებლობების დაზიანების გარეშე.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად, დისერტაციის უმთავრესი **საკვლევი კითხვა**, რომელიც **დაღმავალი ჰეგემონის ოპტიმალური საგარეო პოლიტიკის სტრატეგიის არსის განსაზღვრას** მოიაზრებდა, დაიყო **ხუთ ქვე-კითხვად**. პირველი ქვე-კითხვა მიზნად ისახავდა ჰეგემონის ატრიბუტების დადგენას; მეორე, ჰეგემონის საერთაშორისო გავლენისა და ეროვნული ინტერესების განხორციელების საშუალებებისა და შესაძლებლობების გამოვლენას; მესამე, ჰეგემონური დაღმასვლის განმაპირობებელი ფაქტორებისა და მათი შეფერხების შესაძლებლობების კვლევას; მეოთხე, შესაძლო საგარეო პოლიტიკური სტრატეგიების შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრას; და მეხუთე, ოპტიმალური სტრატეგიის განხორციელების მექანიზმების გამორკვევას.

შესაბამისად, დისერტაციის **მეორე თავში** საკვლევი კითხვებისთვის პასუხების ძიება დაიწყო ჰეგემონისა და ჰეგემონური დაღმასვლის თეორიული კონცეპტუალიზაციის საშუალებით, რამაც შესაძლებელი გახადა **პირველ ოთხ ქვე-კითხვაზე პასუხის გაცემა.** აღნიშნულ თავში დადგინდა ჰეგემონის ატრიბუტები (ძალა და ნება), ჰეგემონური

დაღმასვლის დეტერმინანტები (გამოფიტვა - „overextension”, სისტემაში ძალთა ბალანსის აღდგენის ბუნებრივი ტენდენცია) და ლეგიტიმური ჰეგემონური წესრიგის უზრუნველყოფის აუცილებლობა ჰეგემონის საერთაშორისო გავლენისა და ეროვნული ინტერესების განხორციელებისათვის. შედეგად, განვითარდა ანალიტიკური ჩარჩო, რომელიც ცვლადების, დანახარჯებისა და ჩართულობის გამოყენებით ახდენს დაღმავალი ჰეგემონის საგარეო პოლიტიკის სტრატეგიების კლასიფიკაციასა და შეფასებას.

დანახარჯები, რომლებიც ჰეგემონის ძალისმიერ რესურსებზე მოქმედებს, წარმოადგენს დაღმასვლის დეტერმინანტებისა და ხელშემწყობი (moderating) ფაქტორების ემპირიულ გამოვლინებას. შედეგად, დაღმასვლის განმაპირობებელი ფაქტორების წინააღმდეგ მიმართული საშუალებების ემპირიული გამოვლინება ასევე ხარჯებში, კერძოდ მათ შემცირებაში იქნება ასახული. აქედან გამომდინარე, ხარჯები, როგორც ცვლადი გამოსახავს საგარეო პოლიტიკის გავლენას ჰეგემონის ძალისმიერი რესურსების მოცულობაზე (მაღალი დანახარჯები მათ გახარჯვას განაპირობებს, დაბალი კი შენარჩუნებას) და დაღმასვლის დეტერმინანტების წინააღმედ მიმართული წარმატებული სტრატეგიის შემთხვევაში შემცირდება.

ჩართულობა ჰეგემონის ატრიბუტების, ძალისა და ნების ემპირიული გამოვლინებაა და გამოხატავს, საერთაშორისო ურთიერთობებში მონაწილეობისა და მასზე გავლენის მოხდენის სურვილის შემთხვევაში, როგორი იქნება ჰეგემონის გავლენა საერთაშორისო ურთიერთობებზე. თუ დანახარჯები ჰეგემონის აბსოლუტური ძლიერების განმაპირობებელი ძალისმიერი რესურსების ხარჯვის ტემპს აჩვენებს, ჩართულობა დაღმავალი ჰეგემონის საგარეო პოლიტიკური სტრატეგიის წარმატების ინდიკატორია, რადგან ჰეგემონის შედარებითი ძლიერებისა და სუ-ზე ლიდერობის განხორციელების შესაძლებლობებს, ანუ ჰეგემონის მდგომარეობას აჩვენებს. ჩართულობის, როგორც ცვლადის ინტეგრირება ანალიტიკურ ჩარჩოში შესაძლებელს ხდის დაღმავალი ჰეგემონის სტრატეგია შეფასდეს სწორედ ჰეგემონის დაღმასვლაზე მისი ზემოქმედების

მიხედვით და არა მხოლოდ მის ძალისმიერ რესურსებზე ზემოქმედების მიხედვით, რომლების დაზოგვაც ჰეგემონის ჩართულობის მნიშვნელოვანი დაზიანებითაც არის შესაძლებელი, რაც სულაც არ მოიტანს შედეგად დაღმასვლის შეფერხებას.

შედეგად, ანალიტიკური ჩარჩო შესაძლებელს ხდის დაღმავალი ჰეგემონის სტრატეგიების კლასიფიკაციასა და შეფასებას, და ოპტიმალური სტრატეგიის გამოვლენას, რომელიც მაღალი ჩართულობისა და დაბალი დანახარჯების ბალანსს გულისხმობს. ამგვარად, მეორე თავის ბოლოს ვითარდება დისერტაციის მთავარი არგუმენტი: **დაღმავალი ჰეგემონის ოპტიმალური სტრატეგია შესაძლებლობას აძლევს უკანასკნელს შეამციროს საგარეო პოლიტიკური დანახარჯები, რომლებიც მისი ძალისმიერი რესურსების გამოფიტვას ახდენენ, და ამავდროულად, შეინარჩუნოს ჩართულობა საერთაშორისო ურთიერთობებში, რომელიც გამოხატავს მის გავლენას საერთაშორისო ურთიერთობებზე. დანახარჯების შემცირებისა და ჩართულობის შენარჩუნების თანადროული უზრუნველყოფა მიჩნეულ იქნა დაღმავალი ჰეგემონის საგარეო პოლიტიკური სტრატეგიის წარმატების გასაღებად, რადგან ძალისმიერი რესურსების გამოფიტვის თავიდან აცილება აუცილებელია დაღმასვლის შეფერხებისათვის. ამავდროულად, საერთაშორისო გავლენა უმნიშვნელოვანესია ჰეგემონის ეროვნული ინტერესების უზრუნველყოფისთვის და შესაძლებლობას აძლევს უკანასკნელს განახორციელოს ლიდერობა საერთაშორისო ურთიერთობებში.**

ანალიტიკური ჩარჩოს შექმნისა და ოპტიმალური სტრატეგიის შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრის შემდგომ, **დისერტაციის მესამე თავში** შემუშავდა ამგვარი სტრატეგიის განხორციელების მექანიზმები, რითაც **პასუხი გაეცა მეხუთე, უკანასკნელ საკვლევ კითხვასაც.** მექანიზმების შემუშავებისას დასახული მიზანი გულისხმობდა მეორე თავში დადგენილი დაღმასვლის დეტერმინანტების შეფერხების შესაძლებლობების გამორკვევას. კერძოდ, დაღმასვლის თეორიული კონცეპტუალიზაციის შედეგად, დისერტაციაში მისი სამი დეტერმინანტი (განმაპირობებელი ფაქტორი) განისაზღვრა: საერთაშორისო სისტემის არაშემზღუდავი

სტრუქტურით განპირობებული გამოფიტვა (overextension stipulated by the permissive structure of the international system); მსოფლიო წესრიგის შენარჩუნების ხარჯებით განპირობებული გამოფიტვა (overextension conditioned by the costs of order maintenance) და საერთაშორისო სისტემაში არსებული ძალთა ბალანსის აღდგენის ბუნებრივი ტენდენცია, რომელიც დამატებით მძაფრდება წინმსწრები ფაქტორის (moderating factor) ჰეგემონის ლეგიტიმურობის შესუსტების შედეგად. აღნიშნული დეტერმინანტებისა და წინმსწრები ფაქტორის შეფერხების მიზნით შემუშავებულ იქნა სტრატეგიის განხორციელების ორი უმთავრესი მექანიზმი: საფრთხეების კატეგორიზაცია და მულტილატერალისტური საგარეო პოლიტიკა.

ოპტიმალური სტრატეგიის ორივე მექანიზმის შემუშავებისას გათვალისწინებული იქნა როგორც მათი გავლენა საგარეო პოლიტიკურ დანახარჯებზე, ასევე ჰეგემონის ჩართულობაზე. აღნიშნული ორი ცვლადის თანადროული გათვალისწინება სტრატეგიის მექანიზმების შემუშავებისას რთული ამოცანა იყო, რადგან ხარჯების შემცირება ხშირად ჩართულობის დაზიანებას განაპირობებს, იმ შემთხვევაში, თუ ის მოხდება იმ ამოცანებზე უარის თქმით, რომლებიც ჰეგემონის მიერ სუ-ში ლიდერობის განხორციელების შესაძლებლობებს განსაზღვრავს. შესაბამისად, დისერტაციაში შემუშავებული სტრატეგიის განხორციელების მექანიზმები სწორედ ხარჯების იმგვარ შემცირებაზეა ორიენტირებული, რომელიც არ დააზიანებს, ან არსებული ალტერნატივების გათვალისწინებით, ყველაზე ნაკლებად დააზიანებს ჰეგემონის ჩართულობას. კერძოდ, საფრთხეების კატეგორიზაცია მოიაზრებს ჰეგემონის ინტერესებისადმი ნაკლებმნიშვნელოვან და მაღალდანახარჯიან საერთაშორისო გამოწვევებთან გამკლავებაზე უარის თქმას. აღნიშნული მექანიზმი სისტემის არაშემზღუდავი სტრუქტურით განპირობებული გამოფიტვის (რესურსების გადახარჯვის) წინააღმდეგაა მიმართული. შედეგად, ის არ აზიანებს ჰეგემონის ჩართულობას, რადგან მისი საშუალებით, ჰეგემონი უარს ამბობს მხოლოდ საკუთარი ლიდერობისა და ეროვნული იტნერესების განხორციელების თვალსაზრისით არააუცილებელ დანახარჯებზე.

სტრატეგიის მეორე მექანიზმი, მულტილატერალისტური საგარეო პოლიტიკა ჰეგემონის დანახარჯების შემცირებასა და დაღმასვლის შეფერხებას წესრიგის უზრუნველყოფის დანახარჯების გაზიარებისა და ლეგიტიმაციის შენარჩუნების საშუალებით უზრუნველყოფს, რომლის ზრდაც დაბალანსების ტენდენციებსა და საგარეო პოლიტიკური დანახარჯების ზრდას ამძაფრებს. თუმცა სტრატეგიის აღნიშნული მექანიზმი ჰეგემონის დანახარჯების შემცირებას უზრუნველყოფს, მისი შედეგები ჩართულობაზე ნაწილობრივ დადებითი, ნაწილობრივ კი უარყოფითია. კერძოდ, მულტილატერალისტური საგარეო პოლიტიკის შედეგები ჩართულობაზე დადებითია, რადგან მისი საშუალებით ჰეგემონს შესაძლებლობა აქვს უფრო ეფექტურად და უფრო ხშირად (დანახარჯების შედარებითი სიმცირიდან გამომდინარე) მოახერხოს თანამედროვე მსოფლიო გამოწვევებთან გამკლავება, რაც განამტკიცებს მის წესრიგსა და ლიდერობას საერთაშორისო ურთიერთობებში. მეორეს მხრივ, მექანიზმის მიზნების უზრუნველყოფისთვის მოაზრებულია ისეთი ქმედებები, როგორიცაა მზარდი სახელმწიფოების დაკმაყოფილება (accommodation) და მათი პრივილეგიების ზრდა ჰეგემონური წესრიგის შიგნით, რაც ჰეგემონის ჩართულობის შემცირებას, ანუ სუ-ზე მისი გავლენის შემცირებას განაპირობებს.

ამ თვალსაზრისით, მულტილატერალიზმი ჰეგემონური დაღმასვლის შეფერხებისკენ მიმართული სტრატეგიაა და არა მისი შეჩერებისკენ. გარდა იმისა, რომ მისი განხორციელების მექანიზმებისა და საშუალებების შედეგები ნაწილობრივ უარყოფითად მოქმედებს ჰეგემონის მდგომარეობაზე, ამას დაღმასვლის განხილული შემთხვევის სისტემური შედეგებიც განაპირობებს. იმ შემთხვევაში, როდესაც ჰეგემონური სისტემის დაღმასვლის შედეგად მოსალოდნელია მულტიპოლარული სისტემის წარმოქმნა, დისერტაციამ გამოავლინა, რომ მულტილატერალიზმის სტრატეგიაში აღწერილი ქმედებების ყველა სხვა ალტერნატივა, ისევე როგორც უმოქმედობა ჰეგემონის მხრიდან, მისი მდგომარეობისა და მსოფლიოზე ლიდერობის განხორციელების შესაძლებლობის უფრო მწვავე დაზიანებას გამოიწვევდა. სისტემური შედეგების გათვალისწინებით ამას სამი მიზეზი განაპირობებს. პირველი, როდესაც ჰეგემონური დაღმასვლის პროცესში

ხდება რამდენიმე, და არა ერთი დიდი სახელმწიფოს აღმავლობა, ჰეგემონს დაღმასვლის წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკის წარმართვა საკუთარი რესურსების დაზოგვისა და ზრდის ტემპის გაუმჯობესების საშუალებით შეუძლია და ნაკლები პერპექტივა აქვს გავლენა მოახდინოს სხვა სახელმწიფოების ზრდაზე (მათი შეფერხების თვალსაზრისით). დისერტაციაში განოხორციელებული ჰეგემონის კონცეპტუალიზაციის პროცესმა გამოავლინა, რომ ჰეგემონის რესურსები უმეტესწილად კონსენსუალური და არა ძალადობაზე დაფუძნებული ლიდერობის შესაძლებლობას იძლევა სუ-ში. შესაბამისად, თუ ერთი კონკურენტის არსებობის შემთხვევაში რეალური იყო ჰეგემონს მისი დაზიანება, და ამ გზით, მისი ზრდის შეფერხება მოეხერხებინა, იგივეს ვერ შეძლებს ბირთვული იარაღით შეიარაღებული რამდენიმე კონკურენტის შემთხვევაში. აქედან გამომდინარე, რესურსების ეფექტური გამოყენებისა და ეკონომიკური აღმავლობის შედეგად განპირობებულმა ჰეგემონის აბსოლუტური ძლიერების ზრდის ტემპმა შესაძლოა გადააჭარბოს ნებისმიერი ცალკე აღებული კონკურენტის ზრდას, თუმცა ვერ გადააჭარბებს უკანასკნელთა ერთბლივ ზრდას. შედეგად, ჰეგემონის შედარებითი ძლიერების შემცირებისა და მისი დაღმასვლის პროცესი გაგრძელდება.

მეორე, თუ ჰეგემონი არ მიმართავს მულტილატერალისტური საგარეო პოლიტიკის მიერ მოაზრებულ დიდი სახელმწიფოების დაკმაყოფილებას, რომელიც მისი ჩართულობის შემცირებას განაპირობებს, უკანასკნელის უფრო მწვავე შემცირებაა მოსალოდნელი. ასეთ შემთხვევაში, ჰეგემონი უბიძგებს მზარდ ძალებს გახდნენ მისი ლიდერობისა და წესრიგის ოპონენტები, რაც კიდევ უფრო გაართულებს ჰეგემონის მხრიდან საკუთარი საგარეო პოლიტიკური დღის წესრიგის განხორციელებას და დროთა განმავლობაში, სასიცოცხლო საფრთხეს შეუქმნის მის წესრიგსა და სტატუსს.

შედეგად, მულტილატერალიზმი დაღმავალი ჰეგემონის დროებითი, გარდამავალი პერიოდის სტრატეგიაა. მიუხედავად ამისა, ის მაინც არის ოპტიმალური საგარეო პოლიტიკური სტრატეგია დაღმავალი ჰეგემონისათვის. პირველ რიგში, როგორც აღინიშნა, ის საუკეთესო სტრატეგიაა დაღმასვლის შეფერხებისათვის იმ პირობებში,

როდესაც მისი შეჩერება ვერ ხერხდება. შედეგად, ყველაზე დიდი ხნით ხდის შესაძლებელს ჰეგემონის მიერ საკუთარი სტატუსის შენარჩუნებას. მეორე, მულტულატერალიზმის სტრატეგია დაღმავალ ჰეგემონს შესაძლბელობას აძლევს უზრუნველყოს პოსტ-ჰეგემონური წესრიგის მის ინტერესებში ფორმირება და ძალისმიერი რესურსების დაზოგვის საშუალებით, მაქსიმალურად შეინარჩუნოს და გაზარდოს საკუთარი ძლიერება. ამგვარად, მულტილატერალიზმი დაღმავალი ჰეგემონის ოპტიმალური საგარეო პოლიტიკური სტრატეგიაა, რომლის მიზნებიც შედარებით მოკლევადიან პერსპექტივაში ჰეგემონის სტატუსის შენარჩუნებაა, ხოლო გრძელვადიან პერსპექტივაში, ძლიერ პოლუსად დარჩენა მისთვის ხელსაყრელი ძალთა განაწილების მქონე მულტიპოლარულ მსოფლიოში.

ოპტიმალური სტრატეგიის გამოვლენისა და მისი განხორციელების მექანიზმების შემუშავების შემდეგ, დისერტაციის უკანასკნელ თავში გაანალიზებულია ობამას ადმინისტრაციის საგარეო პოლიტიკის სტრატეგია იმისათვის, რომ გამოვლინდეს უკანასკნელის შესაბამისობა მულტილატერალიზმის თეორიულ სტრატეგიასთან. შემთხვევის ანალიზმა აჩვენა, რომ ორი სტრატეგია თავსებადია მათი საფუძვლების, ამოცანებისა და განხორციელების მექანიზმების თვალსაზრისით. შედეგად, შემთხვევის ანალიზმა მოახდინა მულტილატერალიზმის სტრატეგიის ფარგლებში შემუშავებული მექანიზმების პრაქტიკული რეალიზების შესაძლებლობების ილუსტრირება. ამასთან, ორი სტრატეგიის მსგავსების გამოვლენის შედეგად განხორციელდა დისერტაციაში შექმნილი თეორიული სტრატეგიის ვალიდურობის განმტკიცება. აღნიშნული განხორციელდა იმის წარმოჩენით, რომ დისერტაციაში ჩვენს მიერ დამოუკიდებლად შექმნილის ანალოგიური სტერატეგია შემუშავებულ და განხორციელებულ იქნა მოქმედი ჰეგემონის, აშშ-ს ადმინისტრაციის მიერ.

ამგვარად, დისერტაციაში შემუშავდა დაღმავალი ჰეგემონის ოპტიმალური საგარეო პოლიტიკის სტრატეგია, რაც განხორციელდა ჰეგემონიისა და ჰეგემონური დაღმასვლის ღრმა თეორიული კვლევის შედეგად, რომელიც მოიცავდა ჰეგემონისა და ჰეგემონური

დაღმასვლის თეორიულ კონცეპტუალიზაციას, და ჰეგემონიისა და ჰეგემონური დაღმასვლის სისტემური შედეგების ვრცელ ანალიზს. შედეგად, დისერტაციამ შეისწავლა და გამოარკვია ჰეგემონის ატრიბუტები, ჰეგემონის მიერ საკუთარი ეროვნული ინტერესების უზრუნველყოფის შესაძლებლობები და ჰეგემონური დაღმასვლის განმაპირობებელი და ხელშემწყობი ფაქტორები. ამან საფუძველი შექმნა დაღმავალი ჰეგემონის ოპტიმალური საგარეო პოლიტიკის სტრატეგიის შემუშავებისთვის, რომელიც უზრუნველყოფს ჰეგემონური დაღმასვლის ყველა დეტერმინანტისა და წინმსწრები (ხელშემწყობი) ფაქტორის კომპლექსურ შეფერხებას იმგვარი მექანიზმებით, რომლებიც არ ახდენენ, ან ალტერნატივების გათვალისწინებით, ყველაზე ნაკლებად ახდენენ ჰეგემონის ეროვნული ინტერესების უზრუნველყოფისა და საერთაშორისო გავლენის განხორციელების შესაძლებლობების დაზიანებას.

შედეგად, დისერტაციაში შექმნილია ორიგინალური ანალიტიკური ჩარჩო დაღმავალი ჰეგემონის სტრატეგიების კლასიფიკაციისა და შეფასებისათვის, გამოვლენილია ოპტიმალური სტრატეგია და შემუშავებულია მისი განხორციელების მექანიზმები. ამასთან, დისერტაციამ, დაღმასვლის სისტემურ შედეგებზე დაკვირვების საფუძველზე ძალთა განაწილების სხვადასხვა კონფიგურაციის პირობებში, გამოავლინა საკითხები, რომლებზეც ნაკლებ ყურადღებას ამახვილებს არსებული სუ ლიტერატურა და რომელთა დამატებითი შესწავლაც გავლენას მოახდენს არსებულ დებატებზე ჰეგემონური დაღმასვლისა და დაღმავალი ჰეგემონის საგარეო პოლიტიკის სტრატეგიების ირგვლივ.

დისერტაციის თემასთან დაკავშირებული პუბლიკაციების ჩამონათვალი:

1. Ivaneishvili, B. (2012). Obama Foreign Policy Doctrine: Preparing America to Succeed in Multipolar World. *Journal of Social Sciences, 1*(1), 27-33;
2. Ivaneishvili, B. (2013). Future of Liberal World Order Can Liberal World Order Prevail in the World without American Hegemony? *Journal of Social Sciences, 2*(1), 15-17;
3. Ivaneishvili, B. (2016). Strategic Options of a Declining Hegemon: Searching for the Balance between Costs and Involvement. *Journal of Social Sciences, 5*(2), 7-16.